ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

# კომუნისტი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

№ 97 (18639) ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 26 Ა�პᲠᲘᲚᲘ, 1983 ᲬᲔᲚᲘ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.


60 СОВЕТ КУРҮҮСТАНЫ

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘᲔᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲡᲝᲕᲔᲗ ᲒᲣᲠᲯᲘᲡᲢᲐᲜᲘᲡ“ 60 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ.

## ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲡᲝᲕᲔᲗ ᲒᲣᲠᲯᲘᲡᲢᲐᲜᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ** კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო მხურვალედ მიესალმებიან და ულოცავენ გაზეთ „სოვეტ გურჯისტანის“ რედაქციის კოლექტივს, მის ავტორთა აქტივსა და მკითხველებს ღირსშესანიშნავ თარიღს — პირველი ნომრის გამოსვლის 60 წლისთავს.

გაზეთ „სოვეტ გურჯისტანი“ საბჭოთა საქართველოს თანატოლია. თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე იგი იყო საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტიური თანაშემწე საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საქმეში, ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის განხორციელებაში, ასაზავდა საბჭოთა ხალხის მასობრივ გმირობას დიდი სამამულო ომის დროს, თანამიმდევრულად და მიზანსწრაფულად რაზმავდა მშრომელებს სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადასაწყვეტად, რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავებისათვის საბრძოლველად.

„სოვეტ გურჯისტანი“ ფართოდ აშუქებს სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობას, წარმართავს შრომითს კოლექტივებს შრომის ნაყოფიერებისა და სახოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების რეზერვების ძიებისათვის, პროპაგანდას უწევს მოწინავეთა გამოცდილებას. შეჯიბრებაში ჩაბმული კოლექტივების წარმატებებს, შეფობს საადრეო კარტოფილის წარმოებას — საქართველოს სოფლის მეურნეობის ახალ დარგს, ქმედითს დახმარებას უწევს პარტიულ ორგანიზაციებს შინაპარტიული დემოკრატიის განვითარებაში, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებაში, აქტიურად იბრძვის ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ.

ექვსი ათეული წლის მანძილზე „სოვეტ გურჯისტანმა“ განვლო დიდი და სახელოვანი გზა, გახდა ნამდვილად მასობრივი ტრიბუნა, რომელიც გამოხატავს მშრომელთა ინტერესებს. აქტივზე დაყრდნობით იგი ასრულებდა და ასრულებს კოლექტიური პროპაგანდისტის, აგიტატორისა და ორგანიზატორის როლს.

ექვსი ათწლეულის მანძილზე გაზეთის მთელი საქმიანობის მაგისტრალური ხაზი იყო მშრომელთა ინტერნაციონალური და პატრიოტული აღზრდა, ხალხთა ლენინური მეგობრობის განმტკიცება. გაზეთი სისტემატურად და მიზანმიმართულად აშუქებს საბჭოთა ხალხის, ჩვენი მრავალეროვანი რესპუბლიკის მშრომელთა წარმატებებს სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებაში. მნიშვნელოვანია ის წვლილი, რომელიც გაზეთმა შეიტანა და შეაქვს ქართველ და აზერბაიჯანელ ხალხთა მეგობრობის განმტკიცების საქმეში.

გაზეთი „სოვეტ გურჯისტანი“ კვლავაც თანამიმდევრულად უნდა აშუქებდეს ჩვენი მრავალეროვანი რესპუბლიკის ინტერნაციონალური კოლექტივების ცხოვრებასა და შრომითს დღეებს, ყოველნაირად უწყობდეს ხელს ერთიმეორისი ურთიერთობის შემდგომ განვითარებას, საბჭოთა კავშირის მომძლე რესპუბლიკებს შორის თანამშრომლობისა და კონტაქტების გაღრმავებას, ფართო სოციალისტურ შეჯიბრებას. მკაფიო მაგალითებით აჩვენებდეს ლენინური ეროვნული პოლიტიკის წარმატებებს, მის ფასდაუდებელ მნიშვნელობას ჩვენს ქვეყანაში. საბჭოთა საქართველოში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების სოციალურ-კულტურულ განვითარებაში, თავისი მნიშვნელოვანი წვლილით შეეგებოს ღირსშესანიშნავ თარიღს — რუსეთთან საქართველოს დამოყვრების 200 წლისთავს.

„სოვეტ გურჯისტანმა“ მჭიდროდ უნდა დაუკავშიროს ერთმანეთს გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერის 200 წლისთავის დღესასწაულობის წინ რესპუბლიკის პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების, სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე ი. ვ. ანდროპოვის მოხსენებაში ჩამოყალიბებულ მითითებათა შესრულების კონკრეტულ ამოცანებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო გაზეთ „სოვეტ გურჯისტანის“ რედაქციის კოლექტივს, მის მუშა და სოფლის კორესპონდენტებს, მთელ ავტორთა კოლექტივს უსურვებენ დიდ წარმატებებს შრომაში და გადმოსცემენ მტკიცე რწმენას, რომ ისინი კვლავაც გამოიჩენენ დიდ შემოქმედებითს აქტიურობასა და პარტიულ პრინციპალობას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დიდ წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის.

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ**

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ**

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝ**

## ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲤᲦᲝᲓᲔᲑᲐ ᲐᲮᲚᲝᲒᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

ᲐᲮᲚᲐᲮᲜᲘ მეურნეობისადმი გეგმიანი ხელმძღვანელობის ეფექტიანობის ამაღლება ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მთელი მისი ნომენკლატურით პროდუქციის გამოშვების გეგმის უთუო შესრულებას. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ დღემდე მთელ რიგ დარგებსა და საწარმოებში ირღვევა ხოლმე ნაწარმის ასორტიმენტი მასალატევად და ძვირადღირებულ სახეობათა პროდუქციის სასარგებლოდ, რაც ამცირებს ჩვენი გეგმების შეწონასწორებას, საშუალებას არ გვაძლევს მთლიანად დავაკმაყოფილოთ სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებანი.

სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებში დასახულია ამოცანა განვავითაროთ საწარმოების, მომარაგების ორგანოების, სატრანსპორტო და სხვა ორგანიზაციების წარმოებითი ურთიერთობის პროგრესული ფორმები და მეთოდები, გავაძლიეროთ მათი ურთიერთმატერიალური პასუხისმგებლობა მომხმარებელთა შეკვეთებისა და გრძელვადიანი ხელშეკრულებების შესაბამისად პროდუქციის მიწოდებისა და გადაზიდვის საგეგმო დავალებათა და ვალდებულებათა დროული და მაღალხარისხოვანი შესრულებისათვის.

ახლახან სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება, რომლის მიზანია პროდუქციის მიწოდებათა სახელშეკრულებო ვალდებულებების ზუსტად დაცვა და ამ საქმეში სამინისტროების, უწყებებისა და საწარმოების პასუხისმგებლობის ამაღლება. ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტის პრაქტიკული რეალიზაცია შესაძლებლობას მოგვცემს, როგორც ამას მოითხოვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, განვამტკიცოთ სახელმწიფო და საგეგმო დისციპლინა, უფრო რაციონალურად გამოვიყენოთ ძირითადი საწარმოო ფონდები, მატერიალური და შრომითი რესურსები, უფრო წარმატებით დავნერგოთ მეურნეობრიობის ინტენსიური მეთოდები.

ბევრმა საწარმომ და დარგმა შეიძინა სამეურნეო ხელშეკრულებათა ხრული შესაბამისობით შეკვეთების შესრულების საკმაო გამოცდილება. საგულისხმოა მოსკოვის № 1 ავტოსატრაქტორო ელექტრომწყობილობის ქარხნის მაგალითი. აქ წარმოებაც, დაგეგმვაც, აღრიცხვაც „მიზნად ისახავს სამლერო პროდუქციის გამოშვებას მთელი შეკვეთილი ნომენკლატურის მიხედვით. ეს არის აგრეთვე ტექნოლოგიური ჯაჭვის მიხედვით შეჯიბრების ყველა მონაწილე კოლექტივის მუშაობის მთავარი მაჩვენებელი. და შემთხვევითი არ არის, რომ უკვე მეორე ხუთწლეულია ქარხანა არ ფუშავს მიწოდებას.

ყოველ კოლექტივს შეუძლია საქმე ამგვარად მოაწყოს. ამისათვის საჭიროა კარგი შიდახაჭარხნო დაგეგმვა, შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, დახვეწილი საქმიანი ურთიერთობა ნედლეულისა და მასალების მიმწოდებლებთან, მომარაგების ორგანოებთან და სატრანსპორტო ორგანიზაციებთან. მაგრამ მთავარია, თვით კოლექტივმა არ დაიღალატოს მომხმარებლები. თუ ყველა ქარხანა გამოუშვებს მხოლოდ შეკვეთილ პროდუქციას მისი სრული ნომენკლატურის მიხედვით, მაშინ არ ჩაიფუშება ურთიერთმიწოდებებიც.

სწორედ ეს აკლია ბევრ საწარმოს. მომდინარე წლის პირველ კვარტალში შავი მეტალურგიის, ნავთობგადახამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის, ენერგეტიკული, აგრეთვე, მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლების საწარმოებმა მთლიანად ვერ შეასრულეს მომხმარებელთა შეკვეთები. საქმის ჩავარდნის მიზეზი სხვადასხვაა. მაგალითად, გაერთიანება „ეიტომირარამადნეულმშენს“, რომელიც ქვაყორეს და ღორღს აწვდის მშენებლობებს, შეეძლო წარმატებით შეესრულებინა ყველა შეკვეთა, რკინიგზა რომ არ აღალატებდეს მათ.

მთელ რიგ სამინისტროებში ჯეროვნად არ აფასებენ სახელშეკრულებო დისციპლინის მნიშვნელობას. სუსტად არის დაყენებული კონტროლი მისი დაცვისადმი. ზოგიერთი საწარმო შეუკვეთავ პროდუქციას უშვებს, რომელიც ხშირად ვერ სადდება. ზოგჯერ თვით მომხმარებლებსაც შეაქვთ სამეურნეო ხელშეკრულებებში ისეთი ნაწარმი, რომელზედაც შემდგომ უარს ამბობენ. ხდება, რომ სამინისტროები, ადგილობრივი ორგანოები ხელშეკრულებებისა და შეკვეთების საწინააღმდეგოდ ძალიანად მითითებებს, პროდუქცია უწინარეს ყოვლისა გაუგზავნონ თავიანი დარგისა თუ რაიონის, ოლქის საწარმოებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში აღნიშნულია, რომ პროდუქციის მიწოდების გეგმა უნდა იყოს კანონი თითოეული დარგისათვის, ყველა საწარმოსათვის, მათი სამეურნეო საქმიანობის შედეგების შეფასების ძირითადი კრიტერიუმი, მუშაკთა პრემირების მთავარი პირობა. მკაცრი წესრიგისა და დისციპლინის დამყარება სახელშეკრულებო ვალდებულებათა დაცვაში ეკონომიკის ინტენსიური განვითარების, მისი ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობაა. სამინისტროები და უწყებები მთლიანად აგებენ პასუხს მთელი ნომენკლატურის მიხედვით პროდუქციის მიწოდების ხელშეკრულებათა დაცვისათვის.

დიდი და გადაუდებელი ამოცანებია დასახული სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სსრ კავშირის საბჭომარაგების წინაშე. მათ უნდა მიაღწიონ იმას, რომ თითოეულ დარგს ჰქონდეს წარმოებისა და მომარაგების შეწონასწორებული გეგმები. ეს ორგანოები დროულად უნდა ამზადებდნენ სამინისტროების, მომარაგების ორგანოებისა და საწარმოების ეკონომიკური პასუხისმგებლობის ამაღლების დოკუმენტებს მიწოდებათა შესრულებისათვის, ხოლო სატრანსპორტო ორგანოები — ტვირთზედვის გეგმებისა. უნდა გავაფართოოთ უშუალო სანგრძლივი სამეურნეო კავშირურთიერთობა საწარმოებს შორის, არ დავუშვათ მისი გაწყვეტა, გავამარტივოთ მიმწოდებლებისადმი მომხმარებელთა მიმგარების სისტემა.

სამინისტროთა და უწყებათა პარტიულმა კომიტეტებმა უნდა გაძლიერონ ცენტრალური აპარატის კომუნისტთა პასუხისმგებლობა საგეგმო დისციპლინის თითოეული დარღვევისათვის, მიწოდების ჩაფუშვებისათვის, პრინციპული შეფასება მისცენ უწყებრიობისა და კუთხურობის გამოვლინებებს. დოკუმენტის შესწავლისა და მისი განხორციელების ღონისძიებათა შემუშავების დროს საწარმოთა პარტკომები უფრო მკაცრად უნდა მოპკითხავდნენ იმ მუშაკებს, რომელთა მიზეზით სრულად ვერ სრულდება შეკვეთები, გადაჭრით აღკვეთავდნენ გეგმების კორეტირების შემთხვევებს მათი შემცირების მიზნით.

მიწოდების დისციპლინის განმტკიცებაში მნიშვნელოვანია ავამაღლოთ შრომითი კოლექტივების როლი, მიზანდასახულად და საგნობრივად ვაწარმოოთ იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა ბრიგადებში, უბნებზე, საამქროებში. უფრო ფართოდ უნდა გამოვიყენოთ შეჯიბრების ისეთი გამომდგარი ფორმები როგორიც არის „მუშური ესტაფეტა“, „ყველა შეკვეთა — ვადაზე!“ და სხვები. შეჯიბრების შედეგების შეჯამების და გამარჯვებულთათვის გარდამავალი წითელი დროშების მინიჭების დროს უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი უნდა გახდეს მომხმარებელთა ყველა შეკვეთის უნაკლო შესრულება.

ამ მიზანსწრაფ დღეებში მთელ ქვეყანაში გაიხმის ხკკპ ცენტრალური კომიტეტის შთამგონებელი მოწოდებანი:

**ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲣᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲝ! ᲗᲘᲗᲝᲗᲝᲣᲚ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ ᲨᲔᲥᲛᲔᲜᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ, ᲐᲛᲐᲦᲐᲚᲐᲒᲘᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ, ᲮᲣᲗᲬᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲓᲘᲗ!**

## ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲙᲠᲔᲛᲚᲨᲘ

25 Ა�პᲠᲘᲚᲘ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ტიხონოვმა კრემლში მიიღო კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში კვონ ხი გენი მისი თხოვნით.

საუბარში განიხილეს საბჭოთა კავშირ-კორეის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხები.

(საკდესი).

## И. З. АНДРОПОВИС ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „ᲞᲐᲠᲘᲒᲔᲚᲡ“ (ᲒᲤᲠ)

**ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲗᲒᲘᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘᲐ** ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ „ᲞᲐᲠᲘᲒᲔᲚᲘᲡ“ სთხოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ი. ვ. ანდროპოვს ეპასუხა მთელ რიგ კითხვებზე, აგრეთვე სასაუბროდ მიეღო ჟურნალის გამომცემელი რ. აუგშტაინი. როგორც უკვე ვიუწყებოდით, ასეთი საუბარი გაიმართა ამა წლის 19 აპრილს.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ი. ვ. ანდროპოვის პასუხს და მის საუბარს რ. აუგშტაინთან.

**ᲙᲘᲗᲮᲕᲐ.** ევროპაში საშუალო სიშორის იარაღის შესახებ ჟენევის მოლაპარაკებაზე აშკარად არ შეიმჩნევა არავითარი პროგრესი. ამერიკის წინადადება, რომელიც შეიცავს „ნულოვან გადაწყვეტას“, ხოლო უკანასკნელ ხანს „შუალედურ ვარიანტს“, ისეთნაირად წარმოგვიდგება, რომ შეუთავსებელია საბჭოთა კავშირის წინადადებასთან შეიმციროს თავისი რაკეტების რიცხვი დასავლეთ ევროპის საშუალო სიშორის რაკეტების რაოდენობამდე. როგორ გგონიათ, რა არის ამ აზრთა სხვადასხვაობის არსი და მიგაჩნიათ, თუ არა შესაძლოდ კომპრომისი?

**ᲞᲐᲡᲣᲮᲘ.** ჩვენთვის გასაგებია შეშფოთება იმის გამო, რომ ჟენევის მოლაპარაკებაზე ევროპაში საშუალო სიშორის ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის საკითხები ვერ წყდება. ეს მოლაპარაკება, თუ პირდაპირ ვიტყვით, ჩიხში მოექცა.

რის გულისთვის დაიწყო ეს მოლაპარაკება? საბჭოთა მხარემ მოითხოვა მოლაპარაკება და დაიწყო იგი მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ მიეღწია ამ რაიონში არსებული სსრ კავშირისა და ნატოს ქვეყნების ბირთვული საშუალო სიშორის რაკეტების, ბირთვული კონფრონტაციის დონის რადიკალური ურთიერთშემცირებისათვის. ამერიკის შეერთებული შტატების მიზანი ჟენევის მოლაპარაკებაზე, როგორც გამოირკვა, ის არის, რომ რადაც უნდა დაუჯდეს ნატოს უკვე არსებულ ვრცელ ბირთვულ არსენალს მიუმატოს ახალი მძლავრი იარაღი, შემცირებით კი მხოლოდ საბჭოთა რაკეტების შემცირება სურს.

როგორც ხედავთ, ჟენევაში ერთმანეთს უპირისპირდება ორი საწინააღმდეგო ხაზი, მე ვიტყოდი, ორი პრინციპულად სხვადასხვაგვარი მიდგომა. ამერიკელთა ასეთ ხაზს ჩვენ ჯერ კიდევ ჟენევამდე წავაწყდით. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, როგორც ცნობილია, ჩაფუშა სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულება, მიატოვა რამდენიმე მოლაპარაკება, რომლებზეც რაღაც ძვრები დაისახა ან შეიძლებოდა წარმატებით დამთავრებულიყო. შემიძლია შეგახსენოთ: ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეწყვიტა და დღემდე თავს არიდებს ბირთვული იარაღის გამოცდის სრული და საყოველთაო აკრძალვის, თანამგზავრსაწინააღმდეგო სისტემების, ჩვეულებრივი იარაღის მიწოდებისა და გაყიდვის შეზღუდვის, ინდოეთის ოკეანეში საბრძოლო საქმიანობის შეზღუდვის შესახებ მოლაპარაკებათა გაახლებას. ამას დავუმატებ შეეროვნული შტატების მიერ დღემდე დაუმტკიცებელ ხელშეკრულებებს საბჭოთა კავშირთან ბირთვული იარაღის მიწისქვეშა გამოცდის შეზღუდვისა და მშვიდობიანი მიზნით ბირთვული აფეთქებების შესახებ. ყოველივე ეს თავისთავზე მეტყველებს. ჟენევის მოლაპარაკებასაც ამერიკის შეერთებული შტატების ახალგაზელი ადმინისტრაცია, როგორც ცნობილია, არცთუ დიდი ხალისით დაეთანხმა.

ჩვენთვის ხელშეკრულების დამდებ მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევა ნიშნავს საკითხების ისეთ შეთანხმებას, რომელიც დააკმაყოფილებს ორივე მხარეს. ამერიკის ადმინისტრაცია კი ისე იქცევა, თითქოს არ არსებობდეს საერთაშორისო ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია, შეთანხმებათა და ხელშეკრულებათა პრაქტიკა. ვაშინგტონის მიერ სსრ კავშირისათვის აშკარად მიუღებელ წინადადებათა ამასწინანდელი შეცვლა, რომელსაც ყალბად უწოდეს „ნულოვანი“, საქმეს არ ცვლის. ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია კვლავ თავის წინანდელ ცალმხრივ პოზიციებს დგას და არავითარ სურვილს არ იჩენს გაითვალისწინოს მეორე მხარის კანონიერი ინტერესები, მიაღწიოს პატიოსან ურთიერთმისაღებ შეთანხმებას. ყოველთვის, როცა თავის წინადადებებს აყენებს, ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობს — და ეს მისთვის მთავარია — უწინარეს ყოვლისა ზიანი მიაყენოს საბჭოთა კავშირის უშიშროებას, თავის სასარგებლოდ დაარღვიოს ძალთა შექმნილი წონასწორობა.

ეს არის ჟენევის მოლაპარაკების წარუმატებლობის ძირითადი მიზეზი. ჩვენი მკაფიო და სამართლიანი წინადადებების პასუხად რეიგანის ადმინისტრაცია გვთავაზობს ხან „ნულოვან“, ხან „შუალედურ-ნულოვან“ ვარიანტს. არც ერთი და არც მეორე რეალისტური არ არის და არანაირად არ უწყობს ხელს მორიგების წარმატებას. რატომ? იმიტომ, რომ სურთ განგვაიარაღონ, ნატო კი უფრო მეტად შეიიარაღონ. ამას ჩვენ არ ვიზამთ.

უკანასკნელ ხანს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ნატოს ზოგიერთ სხვა ქვეყანაში გაიგონებთ მსჯელობას იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი „დამთმობი“ არ არის. მაგრამ, საკითხავია, სახელდობრ, რა უნდა დავთმოთ? ჩვენგან მოითხოვენ, რომ შევთანხმდეთ მხოლოდ რაკეტებზე — საშუალო სიშორის არსებულ საბჭოთა რაკეტებსა და იმ ამერიკულ რაკეტებზე, რომლებსაც ევროპაში შემოტანას უპირებენ. საშუალო სიშორის ბირთვულ საშუალებათა სხვა კომპონენტების გამო მორიგებაზე კი ამერიკელები საერთოდ უარს ამბობენ. ისინი აცხადებენ, ამაზე მოლაპარაკება არ გვსურს, მორჩა და გათავდაო.

ჩვენგან მოითხოვენ ისე მოვიქცეთ, თითქოს ვერ ვამჩნევდეთ, რომ ინგლისისა და საფრანგეთის საზღვაო და მიწისზედა ბაზირების რაკეტებზე 400-ზე მეტი მუხტია, რომლებითაც მიზანში ჰყავთ ამოღებული საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები. ამერიკელები, მათ კვალდაკვალ კი ნატოს სხვა ქვეყნების წარმომადგენლები ინგლისურ და ფრანგულ რაკეტებს „შეკავების“ ძალის უწოდებენ. ვთქვათ, ასეა. მაშინ იბადება კითხვა: რატომ არის, რომ როცა საფრანგეთისა და ინგლისის შეკავების უფლებას ცნობენ, უარს გვეუბნებიან უფლებაზე, ვიქონიოთ შეკავების შესაბამისი ძალები — ზუსტად იმდენი, რამდენიც ფრანგებსა და ინგლისელებს აქვთ?

იმასაც იმოწმებენ, თითქოს საფრანგეთისა და ინგლისის ბირთვული შეიარაღება საათვალაში არ იყოს მისაღები მათი რაღაც „დამოუკიდებელი სტატუსის“ გამო. მაგრამ განა ეს ქვეყნები ჩრდილოეთ ატლანტიკური კავშირის წევრები აღარ არიან? და განა მაღავენ ისინი, რომ მათი ბირთვული საშუალებანი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ არის მიმართული? და განა სიმპტომატური არ არის, რომ საფრანგეთის მთავრობა არათუ არ გაემიჯნა, პირიქით, თავგამოდებით უჭერს მხარს დასავლეთ ევროპაში ამერიკის ბირთვული რაკეტების განლაგების გეგმებს? რა „დამოუკიდებელ სტატუსზე“ შეიძლება აქ ლაპარაკი! ერთი მხრივ, ნატოს ცნობილ გადაწყვეტილებას წარმოგიდგენენ თავისებურ მანდატად, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებს მისცა ამ კავშირის ყველა წევრმა, ხოლო მეორე მხრივ, როცა ნატოს იარაღის თვლას იწყებენ, თურმე ინგლისური და ფრანგული რაკეტები აქ არაფერ შუაშია, ისინი, თურმე, ნუ ეტყვით, „დამოუკიდებელი“ ყოფილან. ამაში არავითარი ლოგიკა არ არის.

სცადეთ, საბჭოთა კავშირის, მისი კანონიერი ინტერესების თვალსაზრისით შეხედოთ სიტუაციას: რა საფუძველზე. რა უფლებით სურთ უიარაღო დაგვტოვონ მაშინ, როცა ეს ინგლისური და ფრანგული ბირთვული რაკეტები ჩვენს ქვეყანაზეა დამიზნებული?

ცხადია, რომ ამას ვერ დავეთანხმებით და არც არასოდეს დავეთანხმებით. საბჭოთა ხალხს უშიშროების ისეთივე უფლება აქვს, როგორიც ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების ხალხებს.

ჩვენ მოგვიწოდებენ აგრეთვე თვალი დავხუჭოთ იმაზე, რომ ამერიკელები, თუ მივიღებთ მათს წინადადებებს, ევროპის ზონაში ხელშეუხებლად შეინარჩუნებენ თავიანთ ავიაციას ევროდრომებსა და ავიაბაზებზე, ესე იგი მოწინავე ბაზირების საშუალებებს ბირთვული იარაღის მიტანისათვის, რომელსაც შეუძლია მიაღწიოს საბჭოთა კავშირის ტერიტორიას. ისინი კი, არც მეტი, არც ნაკლები, ასობით მატარებელი და ათასობით ბირთვული მუხტია.

მოლაპარაკების საყოველთაოდ მიღებული ნორმების დარღვევა, ის, რომ არ სურთ მიაღწიონ ურთიერთმისაღებ მორიგებას, იმითაც ვლინდება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია ცდილობს განგვაიარაღოს ცალმხრივი წესით არა მარტო დასავლეთში, ევროპაში, არამედ, აღმოსავლეთშიც — აზიაში. ვაშინგტონს სურს გვიკარნახოს თავისი პირობები — არ განვალაგოთ საშუალო სიშორის რაკეტები საბჭოთა კავშირის აზიურ ნაწილში. ეს კი, რა თქმა უნდა, საერთოდ სცილდება ჟენევის მოლაპარაკების ფარგლებს, იმაზე კი, რომ ჩვენს წინააღმდეგ აზიაში, წყნარ და ინდოეთის ოკეანეებში, შორეულ აღმოსავლეთში თავი მოუყარეს მრავალ ბირთვულ საშუალებას, ამერიკელები დუმან. სხვათა შორის, ამერიკულ და ინგლისურ პრესაში ზოგჯერ გაიელვებს ხოლმე ცნობები, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აპირებს თავისი საშუალო სიშორის რაკეტები განლაგოს ალასკაზე. ეს რომ მოხდეს, შეუმჩნეველი არ დარჩებოდა ჩვენს მხარეს. ამას ახლა იმ დასკვნის -დასადატურებლად ვამბობ, რომ ამერიკის მხარე საბჭოთა კავშირისაგან მოითხოვს იმას, რის შესრულებასაც ეტყობა თავად არ აპირებს.

ჰოდა, საკითხავია, ვის უფრო მეტი საფუძველი აქვს შეშფოთებული იყოს თავისი უშიშროების გამო?

საკითხის ასეთი დაყენება მით უფრო სამართლიანია, რომ საბჭოთა კავშირმა, როგორც ცნობილია, იკისრა ვალდებულება პირველმა არ გამოიყენოს ბირთვული იარაღი, მაშინ, როცა ნატოს ბირთვული ქვეყნები ასეთ ვალდებულებაზე დღემდე კატეგორიულად უარს ამბობენ.

**ᲙᲘᲗᲮᲕᲐ.** დასავლეთი და აღმოსავლეთი ერთმანეთს უსაყვედურებენ, სამხედრო უპირატესობას ესწრაფვითო. ამერიკელები იმასაც ამტკიცებენ, რომ საბჭოთა წარმომადგენლები ჟენევის მოლაპარაკებებზე „წინაპირობებს“ ადებენ. ეს ასეა?

**ᲞᲐᲡᲣᲮᲘ.** ჩვენ ეს ბრალდებანი ერთ-ერთ ინტერვიუში ავუხსენი. ეს ბრალდებანი ტყუილია. ჩვენ ამ ბრალდებებზე ამბობენ, ეს ასეა, ეს ასეა, ეს ასეა

# ი. ვ. ანდროპოვის პასუხი ჟურნალ „ფაიგელს“ (გფრ)

(დასასრული)

ლაპარაკებაზე ცდილობენ გაამარადისონ სსრ კავშირის უპირატესობა ევროპის კონტინენტზე საშუალო სიშორის რაკეტების დარგში. როგორი უნდა იყოს დაახლოებითი წონასწორობა?

**პასუხი.** ჩვენ გვსმენია ამგვარი მტკიცებანი. ამაში განსაკუთრებულ გულმოდგინებას იჩენენ ამერიკის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწენი, თუმცა მათ მაინც-დამაინც არც ზოგიერთი სხვა დასავლელი პოლიტიკოსი ჩამორჩება. ასეთ მტკიცებებში იოტისოდენა სიმართლეც არ არის. საფუძველი ფაქტები უნდა იყოს. მარტო უკანასკნელ ხანს საბჭოთა კავშირმა, რომელსაც სურდა მკვდარი წერტილიდან დაეძრა მოლაპარაკება, ამერიკის მხარისა და ნატოს სხვა ქვეყნების განსახილველად შეიტანა მთელი რიგი წინადადებანი, რომელთა კონსტრუქციული ხასიათი ცხადია.

საკმარისია გავიხსენოთ ჩვენი წინადადებანი იმავე ევროპაში საშუალო სიშორის ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ. ახლა ევროპაში თითოეულ მხარეს საშუალო სიშორის ბირთვული იარაღის დაახლოებით ათასი მატარებელი აქვს. ამას ემატება ტაქტიკური დანიშნულების რამდენიმე ათასი ბირთვული მუხტი. ჩვენი ყველაზე შორს გამიზნული წინადადების მიღების შემთხვევაში, რომლის შესახებ, სხვათა შორის, დასავლეთში დუმილს ამჯობინებენ, — ევროპის კონტინენტზე საერთოდ არ დარჩება ევროპაში მიზნების დასანიშნავად გათვალისწინებული არაერთი სახეობის ბირთვული იარაღი, არც საშუალო სიშორის, არც ტაქტიკური. მოიგებს თუ წააგებს ევროპა, ევროპის უშიშროება, ეს წინადადება რომ შესრულდეს? პასუხი ნათელი და ერთია.

ეს ეხება ჩვენს სხვა წინადადებასაც. თუ იგი განხორციელდა, მოხდება რადიკალური შემცირება: თითოეულ მხარეს სამჯერ შეუმცირდებოდა საშუალო სიშორის შეიარაღება. სხვაგვარად რომ ვთქვათ. ჩვენ გავიელვიდით გზის ორ მესამედს ბირთვული იარაღისაგან ევროპის სრული განთავისუფლების მიმართულებით.

და ბოლოს, დასავლეთი რომ დაგვთანხმებოდა გასული წლის დეკემბერში შეთავაზებულ ვარიანტზე, მაშინ სსრ კავშირსა და ნატოს ქვეყნებს დარჩებოდათ 162-162 რაკეტა, ანუ სწორედ იმდენი, რამდენიც ახლა აქვს ნატოს მხარეს — ინგლისსა და საფრანგეთს. ყოველ მხარეს დარჩებოდა აგრეთვე 138-138 საშუალო სიშორის თვითმფრინავი. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ არც ეს ციფრებია აბსოლუტი. ისინი შეგვიძლია შევამციროთ ორმხრივ საფუძველზე, თუ ნატო დაგვეთანხმება.

საბჭოთა კავშირის ყველა ეს წინადადება ძალაში რჩება. ისინი მთლიანად უზრუნველყოფენ ძალების ბუშმრიტ თანასწორობას და ნამდვილ წონასწორობას.

აბა, სად ჩანს აქ სსრ კავშირის მისწრაფება სამხედრო უპირატესობისადმი?

ახლანდელი სიტუაციის სირთულე და საშიშროება ის არის, რომ დასავლეთის მიერ თავსმოხვეული გამალებული შეიარაღება მოლაპარაკებას უსწრებს. ეს რომ თავიდან ავიცილოთ, ხელშეწყობი პირობები უნდა შეიუქმნათ მოლაპარაკებას; საღი აზრი გვიკარნახებს, რომ საჭიროა გაიყინოს მხარეების ბირთვული არსენალები. და სანამ სხვა გადაწყვეტილებასთან მიგვიგენია, ამის გაკეთება ყველაზე გონივრული იქნებოდა. ჩვენ წინადადება წამოვაყენეთ გაყინოთ საშუალო სიშორის საშუალანი, ისევე როგორც სტრატეგიული შეიარაღება. ეს, ჩვენი აზრით, მხოლოდ პირველი ნაბიჯი იქნებოდა. ჩვენ კი გვეუბნებიან: რაღა საჭიროა გაყინვა, როცა საქმე შემცირებას უნდა ეხებოდეს? თითქოს ლამაზად ეღერს, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ამ განცხადებებს აკეთებენ, ამასობაში კი შეიარაღებას ზრდიან. ჰოდა გამოდის: არც გაყინვა და არც შემცირება.

არანაკლებ დიდია კონტრასტი, როცა ერთმანეთს ვუდარებთ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მიდგომას შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების სხვა პრობლემებისადმი.

მე უკვე ვიელაპარაკე ჩვენს ვალდებულებებზე არ ვიხმაროთ პირველებმა ბირთვული იარაღი. ანალოგიური განცხადება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ბირთვული იარაღის მქონე ნატოს სხვა წევრებსაც რომ გაეკეთებინათ, მაშინ მთელ დედამიწის ზურგზე ადამიანები შვებით ამოისუნთქავდნენ. თითქოსდა, რატომ არ უნდა ექნათ ეს? მაგრამ ჩვენი ინიციატივა დუმილის კედელს აწყდება.

კედელ ერთი მაგალითი, რით გავამართლოთო, რომ დასავლეთი დღემდე არ რეაგირებს იმ პატიოსან, საუკეთესო განზრახვებთან ნაკარნახევ წინადადებაზე, საბჭოთა კავშირმა რომ შეიტანა სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებსა და ნატოს შორის სამხედრო ძალის გამოუყენებლობის და მშვიდობიანი ურთიერთობის უზრუნველყოფის ხელშეკრულების დადების შესახებ? ძნელია მოუძებნო ამას გონივრული განმარტება.

ანდა, მოდით, ვნახოთ, როგორ იქცევა ერთი და მეორე მხარე სტრატეგიული შეიარაღების შესახებ მოლაპარაკებაზე. შევადაროთ ორი პოზიცია. ჩვენი წინადადებაა, არსებითად, მეოთხედით და მტად შევამციროთ სტრატეგიულ მატარებელთა საერთო რიცხვი რისამე გამოუკლებლად. თანაბარ დონემდე შემცირდებოდა მათი ბირთვული მუხტების რიცხვიც. ამერიკის შეერთებული შტატები კი რაღას მოითხოვს?

იგი მხოლოდ ლაპარაკობს შემცირებაზე, არსებითად კი ცდილობს მნიშვნელოვნად, მართლაც-და „რადიკალურად“ გაზარდოს თავისი სტრატეგიული შეიარაღება. დაგეგმილი აქვთ, დამატებით განალაგონ 12 ათასზე მეტი ერთეული მარტო დიდი სიშორის ფრთოსანი რაკეტა. დავიმოწმებ ვაშინგტონიდან სულ ახლახან მოსულ ცნობებსაც: პრეზიდენტს მაგიდაზე დაუდეს კიდევ ერთი გეგმა—დამატებით განალაგონ უახლოეს წლებში მნიშვნელოვანი რაოდენობის ახალი ტიპის საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები.

ეს დაუოკებელი გამალებული შეიარაღებაა. ამას სხვას ვერაფერს უწოდებ.

არც ის არის საიდუმლო, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აგროვებს და გიგმავს გამოიყენოს მასობრივი მოსპობის ისეთი საშინელი იარაღი, როგორიც ქიმიურია. ეს იარაღი უკვე შემოაქვთ ევროპაში, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში ინტენსიურად ამუშავებენ მის ახალ, კიდევ უფრო დამღუპველ სახეობებს. ჩვენ კი წინადადებას კიდევეთი ავკრძალოთ ქიმიური იარაღის შემუშავება, წარმოება და მარაგის დაგროვება, საერთოდ მოესპოთ იგი. თითქოს, აქ საეჭვმანო არაფერია და არც უნდა იყოს. მაგრამ ამერიკის შეერთებულ შტატებშიც და დასავლეთ ევროპაშიც არიან მოღვაწენი, რომლებიც ქება-დიდებით იხსენიებენ ამ იარაღის „სარგებლიანობას“.

არ შემიძლია ოროდ სიტყვა არ ვთქვა შეიარაღების შემცირებისადმი კონტროლის პრობლემაზე. ამბობენ, საბჭოთა კავშირი კონტროლის წინააღმდეგია და ამიტომ მასთან ძნელია შეთანხმებამ. ხატოვანი გერმანული გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ეს „ძველი შლაპაა“, გაცვეთილი თეზისია, კონტროლს ჩვენთვის მეტი თუ არა, ნაკლები მნიშვნელობა როდი აქვს, ვიდრე სხვებისათვის. კონტროლის საკითხებს ჩვენ ვუდგებით საგნობრივად, და არა ზოგადი დეკლარაციების თვალსაზრისით. ჩვენი ასეთი მიდგომის გამოხატულებაა სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შეთანხმებანი. კონტროლის საკითხებში ჩვენი პოლიტიკა შორს არის გამიზნული — საყოველთაო და სრული კონტროლის დამყარებამდეც კი, როცა საქმე მივა საყოველთაო და სრულ განიარაღებამდე. ჩვენ იმის წინააღმდეგი ვართ, რომ კონტროლის პრობლემა მოლაპარაკებაზე შებრკოლების ლოდად გადაქცეთ.

ასეთი გახლავთ ნამდვილი სურათი. მე დავასახელე მხოლოდ ზოგიერთი ფაქტი. შემიძლო გამეგრძელებინა ჩამოთვლა, მაგრამ უკვე ნათქვამიდანაც ნათლად ჩანს, რა პოზიციას ადგას განიარაღების საკითხებში საბჭოთა კავშირი და რა პოზიციას, — ამერიკის შეერთებული შტატები.

ახლა თავად განსაჯეთ, ვინ ესწრაფვის სამხედრო უპირატესობას, და ვინ პარიტეტს, სამხედრო კონფრონტაციის დონის შემცირებას.

**კითხვა.** ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს რეიგანს განზრახული აქვს 1987 წლამდე პერიოდში გიგანტურ თანხამდე — 1600 მილიარდ დოლარამდე გააიდიოს შეიარაღების ხარჯები. მას დაგეგმილი აქვს შექმნას „მექს“ საკონტინენტთაშორისო, „პერშინგ-2“ რაკეტები, ფრთოსანი რაკეტები და თვით კოსმოსში მდებარე ანტისარაკეტო სისტემა, რომელმაც მოუწყვალოდ უნდა გახადოს შეერთებული შტატები. რას დაუპირისპირებდით თქვენ ყოველივე ამას?

**პასუხი.** უკანასკნელ ხანს რეიგანის ადმინისტრაციის წევრებმა მოდად გაიხადეს ნაწყენის პოზა დაიპირონ ხლმე, როცა მათ მილიტარისტულ, აგრესიულ მისწრაფებებში ამხილებენ. შეიძლება პოლიტიკაში გაუწაფავ ადამიანთაგან ზოგიერთზე ასეთმა პოზამ მოახდინოს შთაბეჭდილება. ჩანს, სწორედ ამის იმედით არიან. მაგრამ ასეთ შემთხვევებში უმჯობესია ფაქტებს მივმართოთ ხლმეფაქტები კი მოწმობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები დაადგა ყველა მიმართულებით უპრეცედენტო გამალებული შეიარაღების გაჩაღების გზას, უკიდურესად ამძაფრებს საერთაშორისო დაძაბულობას.

კონკრეტულად მე მხედველობაში მაქვს, კერძოდ, ვაშინგტონში გამოცხადებული ფართო მასშტაბის და მაღალეფექტიანი რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის შემუშავების გეგმები. მთელი ამ წამოწყების ავანტიურიზმი და საშიშროება ის არის, რომ აქ არიან დაუსჯელობის იმედით, იმის იმედით, რომ პირველ ბრძოლულ დარტყმას მოგვაყენებენ, და ჰგონიათ, რომ თავიდან აიცილებენ საპასუხო დარტყმას, ასე თუ იფიქრე კაცმა, შეიძლება გასაშვები ილაკისკენაც კი წაგიცდეს ხელი. ეს გახლავს ახალი ამერიკული სამხედრო კონცეფციის მთავარი საშიშროება. მას შეუძლია მხოლოდ ბირთვული უფსკრულის პირას მიიყვანოს მსოფლიო. გამოდის, რომ ლაპარაკობენ თავდაცვაზე, სინამდვილეში კი ნაღმს უდებენ სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის მთელ პროცესს.

ეს რომ ასეა, ამას მსოფლიოს ავტორიტეტიანი მეცნიერებიც ამბობენ. ჩვენ ვთავაზობთ ამერიკის შეერთებული შტატების თავჯრობას: დაე, შეხვდნენ ერთმანეთს საბჭოთა და ამერიკელი მეცნიერები, ამ საქმის სპეციალისტები, და განიხილონ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ფართო მასშტაბის სისტემის შექმნის შესაძლო შედეგები. დაე, მეცნიერებამ თქვას თავისი სიტყვა.

სულ უფრო ცხადი ხდება, რომ ამერიკის საობარი სამზადისის შემადგენელი ნაწილია ომის წარმოების კოსმოსური საშუალებათა შემუშავება. ახლა მოინდომეს იარაღი კოსმოსში ავიდნენ და იქიდან დიუწყონ მუქარა ყაცობრიობას. ამას ვერ დავუშვებთ. კოსმოსი მშვიდობიანი უნდა დარჩეს. ჩვენ წინადადება წამოვაყენეთ დაიდოს საერთაშორისო ხელშეკრულება კოსმოსში ყოველგვარი იარაღის განულაგებლობის შესახებ. დარწმუნებული ვართ, რომ საჭიროა უფრო მეტიც გავაკეთოთ: შევთანხმდეთ და ავკრძალოთ საერთოდ ძალის გამოყენება როგორც კოსმოსურ სივრცეში, ისე კოსმოსიდან დედამიწის მიმართ.

ნუ დავიწყებთ გამალებულ შეიარაღებას იქ, სადაც იგი არ ყოფილა. შევწყვიტოთ იგი იქ, სადაც ახლა არის. აი ეს გახლავთ ჩვენი პოზიციის არსი. აი ამით ვხელმძღვანელობთ ჩვენ მოლაპარაკებაზე.

საბჭოთა კავშირი კვლავაც თანამიმდევრულად ეძიებს და შეეცდება გამონახოს საერთო ენა ამერიკის მხარესთან. ჩვენი წინადადებები, რომლებიც წინათ შემოვიტანეთ, ძალაში რჩება. თუ ამერიკის ადმინისტრაცია ამა თუ იმ პრობლემაზე შემოიტანს წინადადებებს, რომელთა მიზანი იქნება ამ პრობლემების გადაწყვეტა თანაბარი უშიშროების სულისკვეთებით, ჩვენ უსაუოოდ დადებითად განვიხილავთ მათ.

**კითხვა.** ფედერალური კანცლერი ჰელმუტ კოლი ცოტა ხანში აპირებს ვიზიტად ჩამოვიდეს მოსკოვში. როგორ აფასებთ თქვენ სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის პერსპექტივას. და ზედავთ თუ არა თანამშრომლობის შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ კოლის მთავრობა განახორციელებს ეგრეთ წოდებულ ნატოს დამატებითს შეიარაღებას?

**პასუხი.** სსრ კავშირისა და ფედერაციული რესპუბლიკის მშვიდობიანი, საქმიანი თანამშრომლობა ევროპასა და მთლიანად საერთაშორისო ცხოვრებაში სტაბილურობის არსებითი ფაქტორია. ვფიქრობ, ამის შენარჩუნება შეესაბამება როგორც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ისე საბჭოთა კავშირის ინტერესებს. საამისო ბაზა გვაქვს, კარგი ბაზა. ეს გახლავთ მოსკოვის ხელშეკრულება და მთელი რიგი სხვა შეთანხმებანი, რომლებიც ჩვენმა ქვეყნებმა 70-იან წლებში დადეს. ეს გახლავთ სხვადასხვა დარგში პრაქტიკული თანამშრომლობის ერთობლივად შეძენილი გამოცდილება.

საბჭოთა კავშირში მოელიან კანცლერ ჰ. კოლის ვიზიტს, რომლის შესახებაც უკვე მიღწეულია პრინციპული მორიგება. ვამბედავნებთ, რომ ვიზიტის დროს შევძლებთ დავამკვიდროთ ის დადებითი, რაც გვაქვს ჩვენი ქვეყნების ურთიერთობაში, და დავსახოთ სამერმისო პერსპექტივები.

ამასთანავე, როცა ჩვენი ურთიერთობის პერსპექტივებს ვაფასებთ, ჩვენ, ბუნებრივია, ვერ ავსტერჰაჰიროებით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ახალი ამერიკული ბირთვული რაკეტების გაწლაგების გეგმებისაგან.

თავად განსაჯეთ, რაოდენ დიდი ზიანი მიადგებოდა ამ ურთიერთობას, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკა სსრ კავშირსა და მის მოკავშირეებზე ბირთვული დარტყმის მიყენების პლაცდარმად რომ გადაქცეულიყო. ასეთი რამ რომ მომხდარიყო, ეს უმძიმეს შედეგებს მოუტანდა თვით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას.

მაგრამ ვიმეორებ, საბჭოთა კავშირი საქმის ასეთი შემობრუნების მტკიცე მოწინააღმდეგეა. ჩვენ გთავაზობთ სხვა გამოსავალს ასეთი მდგომარეობიდან, გამოსავალს, რომელიც განამტკიცებდა როგორც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის, ისე საბჭოთა კავშირის უშიშროებას და ჩვენს ორივე ქვეყანას შესაძლებლობას მისცემდა წარმატებით ითანამშრომლონ ევროპისა და საყოველთაო მშვიდობის დამკვიდრების ინტერესებისათვის.

* * *

**რ. აუგშტაინი.** ძალზე მახარებს, რომ საბჭოთა კავშირის უმაღლეს ხელმძღვანელთან შეხვედრისა და საუბრის შესაძლებლობა მომეცა. ჩვენ უკვე ჩამოვაყალიბეთ ზოგიერთი კითხვა, რომლებზეც წერილობითი ფორმით მივიღეთ პასუხი. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი შეხვედრის წინმე უკვე გავიცანი თქვენი პასუხის ტექსტს. არ ვიცი, გადმომცემთ ამ ტექსტს ახლა ოფიციალურად, თუ შემიძლია ჩავთვალო, რომ იგი უკვე გადმოგვეცით.

**ი. ვ. ანდროპოვი.** მე მზად ვარ გადმოგცეთ ეს ტექსტი, ვგონებ, ეს ყველაზე გონივრული და მოსახერხებელი იქნება. თქვენ ეს ხელს გაძლევთ?

**რ. აუგშტაინი.** დიახ, რა თქმა უნდა. გმადლობთ, მაგრამ რამდენადაც ვერავითარი ტექსტი ვერ იქნება ამომწურავი, მინდა გთხოვოთ, ნება დამრთოთ, მოგცეთ აქ რამდენიმე დამატებითი შეკითხვა.

**ი. ვ. ანდროპოვი.** ბრძანეთ.

**რ. აუგშტაინი.** დასავლეთში ხშირად გვესმის მტკიცებანი, რომ გარკვეული პერიოდის მანძილზე, როცა შეერთებული შტატები არ იარაღდებოდა ისეთი ტემპით, როგორც ახლა იარაღდება და განზრახული აქვს შეიარაღდეს, საბჭოთა კავშირი აქტიურად ზრდიდა თავის შეიარაღებას. ამის შედეგად, აღნიშნავ მტკიცებათა თანახმად, 70-იანი წლების მანძილზე საბჭოთა შეიარაღება გაიზარდა, ხოლო ამერიკული შემცირდა კიდეც.

**ი. ვ. ანდროპოვი.** ეს მტკიცებანი არ არის ახალი, მათ განსაკუთრებით აქტიურად ავრცელებენ ამერიკელები, მაგრამ ამაში ნატოელი მოკავშირეებიც ეხმარებიან. მე საგანგებოდ არ მოვმზადებულვარ ამ კითხვაზე პასუხისათვის, მაგრამ იმის დამტკიცება, რომ თქვენ მიერ ნახსენები მტკიცებანი სინამდვილეს არ შეეფერება, იოლი საქმეა. თუ თავიდან დავიწყებთ, მაშინ, ნება მიბოძეთ, შეგახსენოთ, რომ საბჭოთა კავშირს პირველს არ გამოუგონია ატომური იარაღი და პირველი არ შეიარაღებულა მით. ხომ იყო საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი, როცა ჩვენ საერთოდ არ მოგვეპოვებოდა ეს იარაღი, ხოლო ამერიკელებს იგი ჰქონდათ და ცდილობდნენ ჩვენს, საერთოდ მთელი მსოფლიოს დაშანტაჟებას. მოგვიხდა დავწეოდით მას. გავიდა რამდენიმე წელი და ატომური იარაღი საბჭოთა კავშირსაც გაუჩნდა. ჩვენ იძულებული ვიყავით გაგვაკეთებინა ეს. აი, როგორ გახლდათ საქმე.

**რ. აუგშტაინი.** მაგრამ განა არ იყო ისე, რომ 1977 წელს საბჭოთა კავშირის უმაღლესმა ხელმძღვანელობამ თავად აღიარა, ორ ქვეყანას შორის შეიარაღებაში დაახლოებითი თანასწორობა არსებობსო?

**ი. ვ. ანდროპოვი.** სწორი ბრძანებაა. მაგრამ მე არ დამიმოვარებია პასუხი თქვენს კითხვაზე. თუ შემდეგაც გავადევნებთ თვალს მოვლენათა განვითარებას მთელ რიგ ეტაპებზე, საქმე ასე გახლდათ. შეერთებულმა შტატებმა ინტენსიურად დაიწყო თავისი ბირთვული იარაღის სრულყოფა. იგი მონობლოკური მუხტებიდან გადავიდა კასეტურ საბრძოლო ქობინებზე. მაშინ ჩვენც მოგვიხდა გაგვეკეთებინა ეს. შემდეგ ამერიკელებმა დაიწყეს ინდივიდუალური დამიზნების სანაწევრებელი ქობინებით შეიარაღება. პასუხად ჩვენც ავიღეს გაკეთება მოგვიხდა. მერე ამერიკის შეერთებული შტატები შეუდგა სანაწევრებელქობინიანი რაკეტების დაყენებას თავის წყალქვეშა ნავებზე, რაც ჩვენ- იმ დროს არ გვქონდა. იძულებული გავხდით აქაც იგივეთი გვეპასუხა.

ძალების დაახლოებითი წონასწორობა არის, ჩვენ ახლაც ასე მიგვაჩნია. არის დაახლოებითი პარიტეტი.

ასე რომ, საქმე სულ მუდამ ისე იყო, რომ შეიარაღების ზრდის მხრივ ჩვენ მხოლოდ მივსდევდით ამერიკელებს, და არა პირიქით. თანაც, ამერიკის შეერთებულ შტატებს რომ ვეწეოდით, ჩვენ სულ მუდამ ვთავაზობდით შეგვეწყვიტა ეს შეჯიბრება, ვთავაზობდით ორივე მხრივ გაგვეყინა შეიარაღების დონე და გადავსულიყავით მის შემცირებზე. სამწუხაროდ, ამაზე ვერ მივიღეთ ამერიკის მხარის თანხმობა. თუ ახლა ვილაპარაკებთ ამყამინდელ საქმის მდგომარეობაზე, მაშინ, რა თქმა უნდა, შეიძლება მის შეფასებას მივუდგეთ სხვადასხვაგვარად, გამოვიყენოთ სხვადასხვა მეთოდი და მიდგომა. მაგალითად, შეერთებულ შტატებს მიაჩნდა, რომ მისი ბირთვული იარაღი უფრო მოუწყვლადი იქნება, თუ მას წყალქვეშა ნავებზე განალაგებენ. ასეც მოიქცნენ. ეს გასაგებიც არის, ვინაიდან ამერიკის შეერთებული შტატები საზღვაო სახელმწიფოა. ჩვენ კონტინენტური სახელმწიფო ვართ, და ჩვენი ბირთვული იარაღის მეტი ნაწილი ხმელეთზე იყო განლაგებული. ახლა კი ამერიკელები გვთავაზობენ, მოდით, შევამციროთ ის ბირთვული იარაღი, რომელიც ხმელეთზე გვაქვს განლაგებული, ხოლო საზღვაო ბაზირების რაკეტებს თავი დავანებოთო. ასეთი მიდგომა ჩვენ, ბუნებრივია, ხელს არ გვაძლევს. ჩვენი მხრივ, მხედველობაში ვიღებთ ყველა სახეობის ბირთულ იარაღს, რომელიც ორივე მხარეს აქვს, და წინადადებას ვიძლევით თანაბარზომიერად შეამციროს იგი ორივე ერთმა, ისე მეორე მხარემ, შეამციროთ, სანამ, საბოლოო ანგარიშით, მთლიანად მოვსპობთ მას.

რაც შეეხება დეტალურ მონაცემებს ორივე მხარის ძალების თანაფარდობის შესახებ, ამ თემაზე ცოტა ხნის წინათ საჯაროდ გამოვიდა ჩვენი თავდაცვის მინისტრი დ. თ. უსტინოვი, რომელმაც დაასახელა დაწვრილებითი მონაცემები და ციფრები. თქვენ ადვილად შეგიძლიათ გადახედოთ ამ ციფრებს და დარწმუნდებით იმის სამართლიანობაში, რაც აქ მოგახსენეთ.

**რ. აუგშტაინი.** დასავლეთ ევროპაში ბევრნი გრძნობენ, რომ მათ განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის საბჭოთა „სს-20“ რაკეტები, რომლებიც ახლა და ერთობ ეფექტიანი სახეობის იარაღს წარმოადგენენ.

**ი. ვ. ანდროპოვი.** კაცმა რომ თქვას, ეს თემა გაშუქებულია თქვენგან მიღებულ კითხვებზე ჩემი პასუხის ტექსტში. მაგრამ შემიძლია დამატებით გითხრათ შემდეგი. მე მესმის, რომ ევროპის ხალხები საგონებელში არიან ჩავარდნილნი და შეშფოთებასაც კი გრძნობენ. ჩვენ იმის მომხრენი ვართ, რომ აღვაცვეთოთ ამ შეშფოთების მიზეზები. ჩვენ წამოვაყენეთ სხვადასხვა ვარიანტი, წინადადებას ვიძლეოდით ევროპიდან მოგვეშორებინა საერთოდ მთელი ბირთვული იარაღი, როგორც საშუალო რადიუსის, ისე ტაქტიკური. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა პასუხიც კი არ გვაღირსა ჩვენს ამ წინადადებაზე. იგი ჯიუტად აყენებდა თავის ეგრეთ წოდებულ „ნულოვან ვარიანტს“, რომელიც არც კი ღირს იმად, რომ აქ შევეხოთ. ჩვენ ბევრჯერ დაგვიმტკიცებია მისი ჭეშმარიტი არსი. ასე რომ, არსებული მდგომარეობის გამო შეშფოთების მხრივ ჩვენ ერთი აზრისანი ვართ. აი, შეერთებულ შტატებს კი სწადია თავისი ბირთვული რაკეტები დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე განალაგოს და თქვენ, დასავლეთგერმანელებიც, ბელგიელებიც და ჰოლანდიელებიც თავის მძევლებად გაგიხადოთ. ჩვენ ამის წინააღმდეგი ვართ. ჩვენ წამოვაყენეთ სხვადასხვაგვარი გამოსავალი მდგომარეობიდან, გამოსავალი, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემდა ან საერთოდ აღმოგვეფხვრა ორმხრივი საფრთხე, ანდა მნიშვნელოვნად დაგვეკლო არსებული დაძაბულობა.

**რ. აუგშტაინი.** საბჭოთა კავშირმა განაცხადა, რომ, თუ ევროპის მოლაპარაკებს არ მოჰყვება დადებითი შედეგები და ამერიკული რაკეტები მაინც განლაგდება ევროპაში, მაშინ სსრ კავშირი თავის რაკეტებს განალაგებს დაახლოებით ასეთსავე მანძილზე ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიიდან. მინდა შეგეკითხოთ, ბატონო გენერალურო. მდივანო, მართლა „პირებთ თუ არა ამის გაკეთებას, და თუ „პირებთ, მაშინ მსოფლიოს რა რაიონებში შეიძლება განლაგდეს თქვენი რაკეტები?

**ი. ვ. ანდროპოვი.** საიდუმლოდაც ვერ გაგანდობდით ამას— გასაგები მიზეზით. მაგრამ თუ არსებითად ვილაპარაკებთ, დაგიდასტურებთ: ჩვენ გამოვნახავთ საშუალებას, რა პასუხი გავცეთ ამერიკელთა მოქმედებას როგორც უშუალოდ ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიის მიმართ, ისე ევროპის მიმართ. ბირთვული იარაღის საკითხებზე მოლაპარაკება — ეს არ არის პოკერის თამაში, სადაც, ყველაფერსაც რომ აგებდე, მაინც შეგიძლია იქონიო იმედი, რომ მერე როგორღაც გამოასწორებ საქმეს. ეს მოლაპარაკება შეეხება, ამ სტადიის ზუსტი გაგებით, საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხთა, ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების და ნატოს ქვეყნების ხალხთა ყოფნა-არყოფნის საკითხს. ჩვენ არ შეგვიძლია არხეინად ვეკიდებოდეთ პერსპექტივას, რომ ჩვენი საზღვრების მახლობლად განალაგებენ 500-ზე მეტ ბირთვულ რაკეტას იმ ფრანგული და ინგლისური რაკეტების დამატებით, რომლებიც უკვე დამიზნებულია ჩვენზე. ჩვენი საპასუხო ღონისძიებები სავსებით გამართლებული იქნება რომელიც განებავთ თვალსაზრისით, მათ შორის, უმაღლესი მორალური სტანდარტებითაც.

**რ. აუგშტაინი.** თქვენ ახლა ფრანგული რაკეტები ახსენეთ, და ამან მეორე საკითხი მომაგონა. საბჭოთა კავშირს ძალზე კარგი ურთიერთობა ჰქონდა საფრანგეთთან. ისე გამოდის, რომ სწორედ სოციალისტთა მთავრობას, რომელშიც კომუნისტები მონაწილეობენ, მოუთხოვია, რომ დაახლოებით 50 საბჭოთა დიპლომატსა და სხვა მუშაკს დაეტოვებინა საფრანგეთი. როგორ აფასებთ თქვენ ამ მოვლენას?

**ი. ვ. ანდროპოვი.** რა შემიძლია ვთქვა ამის თაობაზე? უწინარეს ყოვლისა, არ მინდა, რომ საბჭოთა ადამიანების წინააღმდეგ ეს უხეში პროვოკაციული გამოხდომა დაბრალდეთ ფრანგ სოციალისტებს და მით უმეტეს კომუნისტებს. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ამ აქციის მიღმა დგანან ძალები, რომლებსაც არ სურთ საფრანგეთის კარგი ურთიერთობა ჰქონდეს საბჭოთა კავშირთან. და შესაძლოა, ეს ძალები იმყოფებიან არა მარტო თვით საფრანგეთში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. რაღაც არა მგონია, ეს აქცია საფრანგეთის ეროვნულ ინტერესებს შეესაბამებოდეს. ეს თვითნებობის აქტია. მას არა აქვს არავითარი კანონიერი საფუძველი. ყოველგვარი მტკიცება, თითქოს საბჭოთა ადამიანები ნებადაურთველ საქმიანობას ეწეოდნენ, მონაჩმახია.

მინდა აღვნიშნო ასეთი ფაქტიც. იმ საბჭოთა ადამიანებს შორის, რომლებსაც წინადადება მიეცათ დაეტოვებინათ საფრანგეთი, არიან თანამშრომლები, რომლებიც უკვე ნახევარი წელია ალარ მუშაობდნენ საფრანგეთში, და საბჭოთა კავშირში იმყოფებოდნენ. სხვებს საფრანგეთში საერთოდ არ ვკიროსაც არ ემუშავათ. განა ეს აბსურდი არ არის?

ჩვენ გვეუბნებიან მხოლოდ ერთს: საბჭოთა თანამშრომლები ინფორმაციის შეგროვებას ეწეოდნენო. მაგრამ, რამდენადაც მესმის, ყოველი ქვეყნის დიპლომატიური და სხვა სამსახურების, ყოველი საელჩოს ფუნქციებში შედის შეაგროვოს ინფორმაცია ადგილსამყოფელი ქვეყნის შესახებ და გადასცეს იგი თავის მთავრობას. განა ეს ნებადაურთველი საქმიანობაა? იგი ფიქსირებულია საერთაშორისო დიპლომატიურ კონვენციებში.

საფრანგეთის ხელისუფალთა ამ აქციას სხვა არაფერი შეიძლება ეწოდოს, თუ არა საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობის გაუარესების წინაღმდეგ განზრახ მიმართული აქტი.

საფრანგეთის პრესის ზოგიერთი ორგანო ამტკიცებს, თითქოს მოსკოვში ფრანგ მუშაკთა მიმართ ჩვენი მხრივ საპასუხო ღონისძიებების განუხორციელებლობა იმის დასტურია, რომ საბჭოთა კავშირი ნაწილობრივ აღიარებს თავის „ბრალს“. ეს სისულელეა. თუ ვიღაც ასე განმარტავს ჩვენს მოქმედებას, იგი ამტკიცებს, რომ ვერ გაუგია საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ასაალ-დასაალი. სსრ კავშირში მომუშავე ფრანგების მიმართ საპასუხო ღონისძიებათა განხორციელება ყველაზე იოლი იქნებოდა. ჩვენ იმიტომ შეეკავეთ თავი, რომ ვხელმძღვანელობთ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობის ფართო ინტერესებით, რომლებსაც ვუფრთხილდებით და რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ყალიბდებოდა, ვხელმძღვანელობთ ევროპაში დაძაბულობის შენელების შენარჩუნების ინტერესებით.

მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ სამუდ, სადაც უნდა იყოს ეს, ჩვენ შევიურიგდებთ თვითნებობას საბჭოთა დიპლომატებისა და სხვა თანამშრომლების მიმართ, რომლებიც ჩვენს საზღვარგარეთა წარმომადგენლობებში მუშაობენ.

**რ. აუგშტაინი.** დიახ, შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში თქვენ მოქმედებთ ბიბლიის შეგონებისამებრ: თუ ერთ ლოყაში გაგარტყეს — მეორე შეუშვირეო.

**ი. ვ. ანდროპოვი.** არც მსაყა საქმე. ჩვენ ნაკლებად ვგავართ ბიბლიურ პერსონაჟებს. ჩვენ გვამოძრავებდა საღი პოლიტიკური ანგარიში, მიხეროვებდა — არ დაგვეშვა საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობის გაუარესებას, და საგნებს ვუყურებდით უფრო ფართოდ, ვიდრე ეს ვიწრო ლოკალური კონფლიქტია.

**რ. აუგშტაინი.** რამდენადაც ბიბლიურ სიუჟეტებს შევეხეთ, მინდა ვთქვა შემდეგი. პრეზიდენტმა რეიგანმა რელიგიური აუდიტორიის წინაშე გამოსვლისას საბჭოთა კავშირი „ბოროტების სათავედ“ გამოაცხადა. ამ განცხადებაზე პასუხში თქვენ უკვე მიეცით მას თქვენი შეფასება. მაგრამ მინდა შეგეკითხოთ: რამდენად შესაძლებელია ასეთ ატმოსფეროში საერთოდ გონივრული და წარმატებული მოლაპარაკება?

**ი. ვ. ანდროპოვი.** ჩვენ საკმარისი რეალისტები ვართ საამისოდ, რომ არ მივაქციოთ ყურადღება რიტორიკას. რეიგანს, თავისი ბრალდებების მიუხედავად, თუნდაც ერთი ჩვენი კონკრეტული წინადადება რომ მიეღო შეიარაღების შემცირების საკითხებზე ან თავად წამოეყენებინა თუნდაც ერთი გონივრული, შესაფერისი

25 აპრილი

# უცხოეთი

ფაქტები
მოვლენები

საკლესიო
იუწყება

# ეს ცოცხლებს სჭირდებათ

(დასასრული)

— არაჩვეულებრივი ადამიანის ცხოვრება მაგალითია ყველასათვის, ვინც უფიქრდება თავის მოძავალს, თქვა ნ. ვეკუამ, — ხსოვნის დღე კიდევ ერთხელ მოგვაგონებს იმათ, ვისაც უნდა ვბაძავდეთ.

დიდი სამამულო ომის წლებში სამშობლოს დაღუპულ მამაც დამცველთა ხსოვნას მადლიერებით მიაგო პატივი ამ დღეს „თბილისგვირაბმშენის“ სამმართველოს კოლექტივმაც, რომელიც მივიდა კუიკის ძმათა სასაფლაოზე, სადაც დაკრძალულია ომის წლებში თბილისის ჰოსპიტლებში გარდაცვლილი 1600 ჯარისკაცი. გვირაბგამყვანთა ბრიგადირებმა სოციალისტური შრომის გმირმა კ. ლიუბავსკიმ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა გ. მესხმა და სხვებმა ყვავილებით შეამკეს მეომართა საფლავები.

— ხალხის მეხსიერებას არ სჭირდება შეხსენება, — თქვა კ. ლიუბავსკიმ — მაგრამ კეთილი სიტყვით კიდევ ერთხელ მოხსენიება ადამიანებისა, რომლებმაც ამდენი რამ გააკეთეს ჩვენი დღევანდელობისათვის, აუცილებელია. ზუსტად ამას ემსახურება ახალი ტრადიციაც — ნათესავებისა და ახლობლების ხსოვნის დღე.

ვერის ძველ სასაფლაოზე, სადაც დაკრძალულნი არიან მგზნებარე რევოლუციონერი ლადო კეცხოველი და ესპანეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე ზოსე დიასი, მივიდნენ თბილისის № 53 და № 58 საშუალო სკოლების მოსწავლეები. მათ შეამკეს საფლავები ყვავილებით, შეამკეს და წაიკითხეს ლექსები პარტიაზე, სამშობლოზე, ხალხთა მეგობრობასა და ძმობაზე.

თბილისის ავიჯის საწარმოო გაერთიანება „ჯანთიადის“ ყოფილ თანამშრომელთა ხსოვნის სკვერი გაშენდა გაერთიანების ტერიტორიის მახლობლად. იმათ შორის, ვისაც პატივი მიაგეს ამ კოლექტივის მშრომელებმა, არის ყოფილი ბრიგადირი ბ. ფერაძეც, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა სშობლიური საწარმოსათვის, აღზარდა ათობით ახალგაზრდა მუშა, ისინი დღეს წარმატებით გაგაგრძობენ უფროსი ამხანაგების შრომის საქმეებს.

— ჩემი აზრით, — თქვა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, სოციალისტური შრომის გმირმა ვერიკო ანჯაფარიძემ, — ეს ყველასათვის საჭირო, განსაკუთრებული დღეა — ნათესავთა და ახლობელთა სხოვნის დღე. რა თქმა უნდა, ჩვენთვის ძვირფასნ, ბედით, თვით ცხოვრებით დაკავშირებული ადამიანების სახეებს არასოდეს არ ვივიწყებთ. მაგრამ ამ დღეს ჯეროვნად მივაგებთ პატივს მათ. ყველას! აი, რა არის მნიშვნელოვანი, ისევე როგორც მნიშვნელოვანია ის, რომ ამ დღეს ჩვენ, ცოცხლები, ვიმსჯელებთ ერთიანი მოსწრაფებით, პატივი ვცეთ ნათესავთა და ახლობელთა სხოვნას.

ჩემი კოლეგები მარჯანიშვილის სახელობის აკადემიურ დრამატულ თეატრში მივიდნენ გარდაცვლილი მარჯანიშვილელების საფლავებთან. ჩემს ქალიშვილთან ერთად ვიყავი უშანგი ჩხეიძის, შალვა ღამბაშიძის, აკაკი ვასაძისა, ცეცილია წულუნავას, სანდრო ჟორჟოლიანის, გიორგი შავგულიძის, პიერ კობახიძის, ვასო გოძიაშვილის, სხვა გამოჩენილ ქართველ მსახიობთა საფლავებზე. მე გულწრფელ მადლობას მოვახსენებ ყველას, ვინც მონაწილეობდა ჩემი ქმრის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის, რეჟისორ მიხეილ ჭიაურელის საფლავთან გამართულ მიტინგში. აქ შეიკრიბნენ კონსტუდია „ქართული ფილმის“ მუშაკები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. ამ დღეს ვიყავით საბუთთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონშიც. ღრმა პატივისცემის გრძნობით შევამკეთ ყვავილებით ზურაბ ალექსანდრეს ძე პატარიძის, ჩვენი საზოგადოების სხვა თვალსაჩინო მოღვაწეთა საფლავები.

ამ დღეს მოგვეჯარა მოგონებანი ჩვენი წარსულის შესახებ, ეს დღე გვიღვიძებს პასუხისმგებლობას მომავლისათვის. სწორედ ამიტომ იგი ჩვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს.

## უკვდავებად ქცეული გმირობა

სოფელი მარაბდა. ძველი ეკლესიის ეზოში განისვენებს ცხრა ძმა ხერხეულიძე და მათი დედა, რომელმაც ისინი გაზარდა.

შუადღისას სოფელს ზარის რეკვის ხმა მოეფინა. გამოჩნდნენ ახჯარასხმული, ფარ-შუბ მომარჯვებული ჯაბუკები. ეროვნულ კაბებში გამოწყობილი გოგონები მწვანე გირლიანდებით ამკობენ გმირთა საფლავებს. დედის საფლავს გვირგვინთ ამკობენ.

გმირობის ხსოვნა თანამედროვეობას ემსახურება. იგივე ტრადიციებმა, რომლებმაც ცხრა ძმა ხერხეულიძე შვეს, აღაზრდეს თეთრი წყაროს რაიონის მკვიდრნი არსენა მარაბდელი და არსენა ჯორჯიაშვილი, ცხობილი ბოლშევიკი რევოლუციონერები თეოდორე აფანასიევი, ილია მჭედლიძე, პეტრე მონტინი და სხვები. რაიონის დაახლოებით შვიდი ათასმა მცხოვრებმა გაიარა დიდი სამამულო ომის გზები, მათგან თითქმის ყოველმა მეორემ შესწირა თავი სამშობლოს, მათ შორის არიან საბჭოთა კავშირის გმირები ივანე დემეტრაშვილი და სერგო გრიგორიანი.

— ცხრა ძმა ხერხეულიძის გმირობა მათთვის მაგალითი იყო, — თქვა აქ შეკრებილთა წინაშე გამოსვლისას პარტიის თეთრი წყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა ჯ. ბედუკაძემ.

მარაბდას მოეფინა სამდერა „შინმოუსვლელის“ ჰანგები. პროფესორმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა მ. ლორთქიფანიძემ ილაპარაკა მარაბდის ბრძოლის შესახებ. უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოდნენ ძმები. უფროსი ძმა რომ კვდებოდა, მთელი ტანით დროშას გადაეფარა, რათა იგი მტერს არ ჩავარდნოდა ხელში. თავიანთი გმირობით ცოცხლობენ შთამომავალთა სხოვნაში ძმები ხერხეულიძეები.

ცხრა ძმისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა მუხრან მაჭავარიანმა და მორის ფოცხიშვილმა, მათი გმირობის საფეხურებზე ილაპარაკეს შწერალმა ლევან სანიკიძემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ზურაბ ქაფიანიძემ.

... მტკიცე სამწყობრო ნაბიჯით ჩაუარა საფლავის ქვებს ცხრა ახალწვეულმა. მათ მიესალმებიან დიდი სამამულო ომის ვეტერანები. დაე, მომავალ მეომრებს გზას უნათებდეს აქ დაკრძალულ სამშობლოს თანასოფლელთა ხსოვნა. მათთან ერთად სამშობლოს ერთგულების ფიცს აძლევს კომაკავშირში ახლახან მიღებული ცხრა ქალიშვილი და ჭაბუკი.

## ერთიან დიდ ოჯახად

...სოხუმის გარეუბნების მყუდრო კუთხეებში, სადაც ქალაქის ოთხი სასაფლაო მდებარეობს, ამ დღეს ხალხმრავლობა იყო. სოხუმელები ზეგს რგავდნენ და ასუფთავებდნენ აქაურობას.

— ჭირნი მუდამ უნდა გვაყვდეს ვიღაც გვერდით, — თქვა სოხუმის ქმაღური ქარხნის მუშამ ქეთევან გაბუნიამ, — ეს შესანშნავი ტრადიციაა — ყველამ ერთად აღვნიშნოთ ხოლმე ახლობელ-ნათესავების ხსოვნის დღე. კარგია, რომ ჩვენ ახლა გვაქვს ასეთი დღე, როცა ყველანი ერთად, ერთიან დიდ ოჯახად, ვიხსენებთ ადამიანებს, რომლებმაც ნათელი კვალი დატოვეს დედამიწაზე.

...ბათუმის საქალაქო სასაფლაოზე სახელმოხვეჭილ ქართველ მეზღვაურთა ბევრი საფლავია. აქ განისვენებენ ზღვის მაშვრალნი, შორეული ნაოსნობის კაპიტნები გ. სტურუა, თ. მაქაცარია, ჯ. ინწკირველი, ნ. მხატვარი და სხვები, რომლებიც სამუდამოდ დარჩნენ ცოცხალთა ხსოვნაში. 24 აპრილს მათს საფლავებზე გავიდნენ მეგობრები და ამხანაგები, ახლობელ-ნათესავები. საზღვაო ფლოტის ვეტერანებმა გაიხსენეს ერთობლივი ცურვა, ესაუბრნენ ახალგაზრდა მეზღვაურებს ზღვაოსნის ძმის პროფესიაზე, იმ მამაც ადამიანებზე, თავი რომ გასწირეს სამშობლოს საკეთილდღეოდ.

...სსობით ადამიანი იყო სასაფლაოებზე ცხინვალში, ჯაფის, ლენინგორის, ზნაურის რაიონულ ცენტრებში. ყოველი სასაფლაოს შესასვლელთან იყიდებოდა ყვავილები, ნერგები, მიწის იარაღები, მოტანილი იყო წყლის ცისტერნები.

— ხსოვნის დღის კარგი ორგანიზაცია დაგვეხმარა გაგვიმწვანებინა, ეთითმოგვეწყო ახლობელ-ნათესავების, და არა მარტო მათი საფლავები, — თქვა ცხინვალის რაიონის სოფელ დმენისის კოლმეურნეობის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირმა გრიგოლ სიგკაევმა. — ახალი რიტუალი ძალზე დიდმნიშვნელოვანი და აქტუალურია. იგი გვეხმარება ჩვენ, ცოცხლებს, და ამიტომ მინდა გულწრფელი მადლობა მოვახსენო მის ინიციატორებსა და ორგანიზატორებს.

...ქუთაისის მშრომელები დიდ პატივს სცემენ იმ ადამიანთა ხსოვნას, რომლებმაც ნათელი კვალი დატოვეს მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების განვითარებაში, მოიხვეჭეს ადამიანთა სიყვარული, დაფასება. დიდ სამამულო ომში დაღუპულ მეომართა მემორიალთან, საფიჩხის სამჭო სასაფლაოზე მივიდა ქალაქის ათასობით მშრომელი ოჯახებთან ერთად. ქუთაისელებმა ყვავილებით შეამკეს ამათი საფლავები, ვისაც უმადლიან სიცოცხლეს, თავიანთ დღევანდელ დღეს. ასობით ქუთაისელი მოსწავლე იყო საფიჩხიაში, სადაც დაკრძალულია სასქალდულო მხარეთმცოდნე პეტრე ჭაბუკიანი. ხოლო კინოთეატრ „საქართველოს“ დიდ დარბაზში გაიმართა ქართული კინოს ოსტატთა ხსოვნის საღამო.

* * *

ახლობელ-ნათესავების ხსოვნის დღე, რომელიც რესპუბლიკაში პირველად მოეწყო, გახდა შესანშნავი სახალხო დღესასწაული, რომელიც სიმბოლურად გამოხატავს საბჭოთა ადამიანის საუკეთესო ნიშან-თვისებებს — უფროს თაობათა საუკეთესო ტრადიციებს, აწმყოსა და მერმისის წინაშე მოქალაქეობრივი მოვალეობის, ყოველივე ამისადმი ერთგულებას, რის წინაშეც ვალში ვართ.

ეს დღე გახდა ერთი იმ ახალ საბჭოთა რიტუალთაგანი, რომლებიც თანამიმდევრულად ხორციელდება და მკვიდრდება რესპუბლიკაში საქართველოსათვის იმ ისტორიული დადგენილების შემდეგ, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა რომ მიიღო პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე.

(საქინფორმი).

**სურათზე: კავკასიის დამცველთა ძეგლთან სოხუმში.**

**ი. ჭოხონელიძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).**

# ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲔ

„კომუნისტი“, „ენი ფიქირი“ („ახალი აზრი“), „ენი კენდი“ („ახალი სიტყვა“), „სოვეტ გურჯისტანი“ („საბჭოთა საქართველო“)... ექვსი ათწლეულის მანძილზე არაერთხელ შეცვლილა ამ გაზეთის— საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მებრძოლი ორგანოს სახელწოდება. მაგრამ უცვლელი რჩებოდა მისი მთავარი ამოცანა — არა მარტო ინფორმაციის აწვდიდეს, ანათლებდეს, ორწმუნებდეს, არამედ რაზმავდეს კიდეც საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელ მშრომელთა ფართო მასებს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის კურსის პრაქტიკული რეალიზაციისათვის სახრძოლველად.

გაზეთ „სოვეტ გურჯისტანის“ 60 წლისთავს მიეძღვნა საზეიმო სხდომა, რომელიც 25 აპრილს გაიმართა თბილისის ა. ს. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსულ დრამატულ თეატრში.

პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, გ. ვ. კოლბინი, დ. ლ. ქართველიშვილი, თ. ე. მოსაშვილი. რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ხელმძღვანელები, წარმოების მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან ჩამოსული სტუმრები.

საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ნ. ენუქიძემ.

შეკრებილებმა ერთსულოვნად, უდიდესი აღფრთოვანებით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის მეთაურობით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მისალმება გაზეთ „სოვეტ გურჯისტანის“ პირველი ნომრის გამოსვლის 60 წლისთავთან დაკავშირებით წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ნ. შ. ენდელაძემ.

გაზეთის სახელოვანი 60 წლის გზის, რედაქციის კოლექტივის წინაშე დღევანდელი ამოცანების შესახებ ილაპარაკა გაზეთ „სოვეტ გურჯისტანის“ რედაქტორმა ს. მ. სულეიმანოვმა.

იუბილარ გაზეთს, მის ავტორთა კოლექტივს მიულოცეს და გულთბილად მიესალმნენ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი გ. ვ. ბედიანეიშვილი, ბოლნისის რაიონის ფაბრალოს საბჭოთა მეურნეობის დირექტორი უ. ო. გუსეინოვი, აზერბაიჯანის კომპარტიის, აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს ორგანოს — გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილე რ. მ. ნაგიევი, მარნეულის № 2 აზერბაიჯანული საშუალო სკოლის პედაგოგი ი. ნ. ჩობანზადე, სომხეთის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მდივანი, გაზეთ „სოვეტ ერმანისტანის“ რედაქტორი ჯ. გ. ალიევი, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მეფოლადე, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ო. ა. ლომიძე, ბარდანის რაიონის ჯანდარის საბჭოთა მეურნეობის ტრაქტორისტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნ. მ. მამედოვი, პარტიის ლმანისის რაიკომის პირველი მდივანი ე. ა. ბერიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ვ. ტ. ჯანგიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, ახალგაზრდა პოეტი ი. მ. მამედოვი, გამომცემლობა „ნაკადულის“ დირექტორი პოეტი მ. თ. ფოცხიშვილი.

შემდეგ საზეიმო სხდომის მონაწილეებს საქართველოსა და აზერბაიჯანის ხელოვნების ოსტატებმა გაუმართეს კონცერტი.

(საქინფორმი).

# უცხოეთის ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ

**საზღვარგარეთის პრესა ჟურნალ „შპიგელისათვის“ (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) ი. ვ. ანდროპოვის მიერ მიცემულ პასუხს მიიჩნევს საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარეობის ახალ დადასტურებად. მასხობრივი ინფორმაციის საშუალებები, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი, რომლებიც ფართოდ აქვეყნებენ ამ ჟურნალის გამომცემელთან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის საუბრის შინაარსს და განმარტავენ მას, ხაზს უსვამენ: საბჭოთა ხელმძღვანელმა გარკვევით და ზუსტად განმარტა სსრ კავშირის კონსტრუქციული პოზიცია ახლანდელი საერთაშორისო მდგომარეობის დიდმნიშვნელოვან საკითხებში და უწინარეს ყოვლისა, გამალებული ბირთვული შეიარაღების ალაგმვის პრობლემაზე. ისინი აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირი მზადაა დადებითად განიხილოს ყოველი წინადადება, რომელიც ნამდვილად იქნება გამიზნული ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილებისათვის, მშვიდობის საქმის გამარჯვებისათვის.**

## ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „ᲨᲞᲘᲒᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ Ю. Ვ. ᲐᲜᲓᲠᲝᲞᲝᲕᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚ ᲞᲐᲡᲣᲮᲖᲔ

„საბჭოთა ხელმძღვანელმა, — განაცხადა დასავლეთ გერმანიის **არდ ტელეპროგრამის** წამყვანმა, — ამერიკის შეერთებული შტატები გააფრთხილა, რომ მკვეთრად შეიცვლება სამხედრო ძალების განაწილებასთან დაკავშირებით არსებული სიტუაცია, რასაც გამოიწვევს დასავლეთ ევროპის მთელი რიგი ქვეყნების ტერიტორიაზე საშუალო სიშორის ამერიკული ბირთვული რაკეტების განლაგება. ამასთან დაკავშირებით მან დაადასტურა, რომ შესაძლებელია საპასუხო ღონისძიებანი ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიის მიმართ იმ შემთხვევაში, თუ ნატოს გადაწყვეტილება დამატებითი შეიარაღების შესახებ მაინც განხორციელდება“.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის **ცდფ ტელეპროგრამის** წამყვანმა ხაზგასმით აღნიშნა: „საბჭოთა ხელმძღვანელმა მოსკოვში კანცლერ ჰ. კოლის მომავალ ვიზიტს დაუკავშირა იმის მოლოდინი, რომ მომავალში ორი ქვეყნის ურთიერთობა განვითარდება ორივე მხარის ინტერესების შესაბამისად, რომ შენარჩუნებული იქნება ყოველივე ის დადებითი, რაც ახასიათებდა 70-იან წლებს“.

„საბჭოთა ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ევროპის მოლაპარაკება ჩიბში მოეცალა, — აღნიშნავს **„ვესტფალიშე რუნდშაუ“** — ი. ვ. ანდროპოვი მხარს უჭერს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან მშვიდობიანი, საქმიანი თანამშრომლობის შენარჩუნებას“. გაზეთი **„კელნერ შტადტ-ანცი

# ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ

## ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ — ᲨᲔᲣᲜᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ

**ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ** მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმმა მორიგ სხდომაზე მოისმინა და განიხილა უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. დ. ხუდაიბერდიევის, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის მინისტრის ნ. ნ. ტარასოვისა და სსრ კავშირის კვების მრეწველობის მინისტრის ვ. პ. ლეანის მოხსენებანი მშრომელთა წერილების განხილვის საქმის ვითარების შესახებ.

მიღებულ გადაწყვეტილებაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭო, რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები, აგრეთვე სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტრო, ასრულებენ რა სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებებს წერილებზე მუშაობისა და მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციის შესახებ, ახორციელებენ ამ დიდმნიშვნელოვან უბანზე საქმის დაყენების გაუმჯობესების ღონისძიებებს. „ამ საკითხებს სისტემატურად იხილავენ სსრ კავშირის აღნიშნული სამინისტროების კოლეგიებისა და უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომებზე, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სესიებსა და მათი აღმასკომების სხდომებზე; ხორციელდება კონტროლი საქვეუწყებო საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში ამ მუშაობის მდგომარეობისადმი. მუდმივი ყურადღება ეთმობა წერილების ანალიზსა და განზოგადებას, გამოტანილ დასკვნებს პრაქტიკულ მუშაობაში იყენებენ.

უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოსა და ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებში წერილების უმრავლესობას იხილავენ მათი ხელმძღვანელები, ამასთან ბევრ მათგანს — ადგილებზე. მშრომელთა წერილებსა და წინადადებებზე მუშაობის გაუმჯობესებისათვის აქტიურად იყენებენ ისეთ ფორმებს, როგორიცაა ღია წერილის დღეები, სასოფლო ყრილობები, ამ მუშაობაში დეპუტატებისა და საზოგადოებრიობის ფართოდ ჩაბმა.

ამავე დროს, როგორც სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის მიერ სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროში მოწყობილმა შემოწმებამ ცხადყო, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქმეთა სამმართველოს მუშაკთა მიერ უზბეკეთის სს რესპუბლიკაში საქმის ვითარების გაცნობა მოწმობს, მშრომელთა წერილებზე მუშაობაში არის ნაკლოვანებანი და ხარვეზები.

სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტრო ჯერ კიდევ სათანადო სიმტკიცეს არ იჩენენ მშრომელთა იმ წინადადებებისა და სურვილების რეალიზაციაში, რომლებიც ეხება პროდუქციის ხარისხისა და ასორტიმენტის გაუმჯობესებას, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების უფრო რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფას, სოციალისტური საკუთრების დაცვის გაძლიერებას, მუშაკთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, წერილებისა და საჩივრების წარმომშობი მიზეზების აღმოფხვრის ღონისძიებათა განხორციელებას. მიღებულ სიგნალებს სათანადოდ არ იყენებენ გაერთიანებებისა და საწარმოებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის. სამინისტროები საჭირო მომთხოვნელობას არ იჩენენ პირებისადმი, რომლებიც უშვებენ უყაირათობას, არღვევენ სახელმწიფო დისციპლინას, სჩადიან ბოროტმოქმედებას.

უზბეკეთის სს რესპუბლიკაში ბევრი წერილი საბინაო პირობების გაუმჯობესების, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შესახებ მშვენელოვანწილად იმით აიხსნება, რომ საბინაო ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმები და საყოფაცხოვრებო მომსახურების მრავალ სახეობათა გეგმები არ სრულდება.

როგორც აღნიშნულ სსრ კავშირის სამინისტროებში, ისე უზბეკეთის სს რესპუბლიკაშიც არის მოქალაქეთა წერილებისადმი უყურადღებო, ფორმალური დამოკიდებულების შემთხვევები, ირღვევა წერილების განხილვის ვადები, სათანადოდ არ ეწევა კონტროლი მშრომელთა წერილების გამო მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსა და უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს დაავალა განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, რათა გაუმჯობესდეს მუშაობა წერილების განხილვისა და მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციისათვის და აღმოიფხვრას გამოვლენილი ნაკლოვანებანი.

სსრ კავშირის სამინისტროებს, უწყებებსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს წინადადება მიეცათ:

უზრუნველყონ იმ ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება, რომელთა მიზანია წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის და მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციისათვის მუშაობის შემდგომი სრულყოფა პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1982 წლის 9 დეკემბრის დადგენილებიდან გამომდინარე მოთხოვნების მიხედვით;

უფრო სრულად გამოიყენონ მშრომელთა წინადადებანი ეკონომიკური და სოციალური განვითარების საკითხებზე გადაწყვეტილებათა მომზადების დროს, უზრუნველყონ სათანადო რეგისტრაცია უყაირათობისა და ბოროტმოქმედების ფაქტებზე, სხვა ნაკლოვანებებზე საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშაობაში;

აამაღლონ მომთხოვნელობა მართვის ყველა რგოლის მუშაკისადმი იმ საკითხების დროული და სწორი გადაწყვეტისათვის, რომლებიც აღძრულია მშრომელთა წერილებსა და ზეპირ მიმართვებში, პასუხი აგებინონ პირებს, რომლებიც ურიგდებიან საქმის გაჭიანურებას და უსულგულო დამოკიდებულებას მშრომელთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისადმი მათი წინადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის დროს.

## ᲡᲐᲔᲪᲢᲐᲜᲡᲐᲪᲓᲚᲘᲗ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

**ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ** მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ მიიღეს დადგენილება „სპეციალური ტანსაცმლით, სპეციალური ფეხსაცმლითა და ინდივიდუალური დაცვის სხვა საშუალებებით მშრომელთა უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

აღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებულია სპეციალური ტანსაცმლის შესაკერად ქსოვილებისა და მასალების, აგრეთვე სპეციალური ფეხსაცმლისა და ინდივიდუალური დაცვის სხვა საშუალებების წარმოების დავალებანი.

სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის სშნაგან საქმეთა სამინისტროს, ქიმიური მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის საშინ მასალათა მრეწველობის სამინისტროს და სამედიცინო მრეწველობის სამინისტროს წინადადება მიეცათ შეიმუშაონ და 1983-1985 წლებში განახორციელონ სპეციალური ტანსაცმლის, სპეციალური ფეხსაცმლისა და ინდივიდუალური დაცვის სხვა საშუალებების ხარისხის და მათი წარმოებისათვის საჭირო მასალების ხარისხის გაუმჯობესებისა და ასორტიმენტის გაფართოების ღონისძიებანი, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სპეციალური ტანსაცმლისა და სპეციალური ფეხსაცმლის დამზადებას ქვანახშირის, ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკებისათვის, აგრეთვე ქალებისათვის ესთეტიკური და სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნების გათვალისწინებით.

სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო მოვალეა 1984-1985 წლებში განახორციელოს მოსამზადებელი სამუშაოები, რათა მეთორმეტე ხუთწლედში ააწყოს ტანსაცმლის ჯგუფის ქსოვილების გამომშვები ორი კომბინატი სპეციალური და სამუშაო ტანსაცმლის შესაკერად, რომელთა სიმძლავრე იქნება 100 მილიონი კვადრატული მეტრი წელიწადში.

დადგენილია აგრეთვე ქსოვილების, სპეციალური ტანსაცმლისა და სპეციალური ფეხსაცმლის დასამზადებლად ტექნოლოგიური მოწყობილობის შემუშავებისა და წარმოების ათვისების დავალებანი.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები მოვალენი არიან:

განახორციელონ ღონისძიებანი, რათა საოლქო ცენტრებსა და მსხვილ სამრეწველო ქალაქებში გაიხსნას მოსახლეობისათვის სამუშაო ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის მიყიდვის მაღაზიები;

განახორციელონ ღონისძიებანი, რათა ქიმიური წმენდისა და თეთრეულის რეცხვის საწარმოებში მოეწყოს სპეციალური ტანსაცმლის ქიმიური წმენდისა და რეცხვის ცალკეული უბნები (ნაკადები), პატარა სამრეწველო საწარმოების, სამშენებლო ორგანიზაციების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობებისათვის.

ნებადართულია სამინისტროებისა და უწყებების წილობრივი მონაწილეობა ქიმიური წმენდისა და თეთრეულის რეცხვის საწარმოების მშენებლობაში, რომლებიც განახორციელდება სპეციალური ტანსაცმლის ქიმიური წმენდა და რეცხვა.

სამინისტროებმა და უწყებებმა პროფკავშირთა შესაბამის ცენტრალურ კომიტეტებთან და საბჭოებთან ერთად უნდა შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი სპეციალური ტანსაცმლით, სპეციალური ფეხსაცმლითა და ინდივიდუალური დაცვის სხვა საშუალებებით მუშათა, მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მუშაობის გაუმჯობესებისათვის, აგრეთვე გააძლიერონ კონტროლი მათი ტარებისა დადგენილი ვადების დაცვისადმი, და ეკონომიური სარგებლობისადმი აამაღლონ სამეურნეო ხელმძღვანელებისა და პროფკავშირული ორგანოების პასუხისმგებლობა ამ საქმეში.

* * *

გარდა ამისა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილებანი მთელ რიგ სხვა საკითხებზე, კერძოდ:

ქვანახშირისათვის მილსადენი ჰიდროტრანსპორტის განვითარების ღონისძიებათა შესახებ;

საკვების წარმოების გადიდებისათვის ალტაის მხარეში სარწყავი სისტემების მშენებლობის დაჩქარების ღონისძიებათა შესახებ;

მშენებლობაში ზედნადები ხარჯებისა და საგეგმო დაგროვების ნორმების შესახებ;

სსრ კავშირის ხალხთა 1983 წლის VIII საზაფხულო სპარტაკიადის ჩატარების უზრუნველყოფისა და 1984 წლის ოლიმპიური ასპარეზობისათვის საბჭოთა სპორტსმენების მომზადების დამატებით ღონისძიებათა შესახებ.

(საკდენი).

## ᲒᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔᲓ ᲘᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲐ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡᲘ ᲗᲔᲗᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲐᲤᲮᲐᲖᲐᲕᲐ ᲔᲕᲠᲝᲠᲙᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲐ

**ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘ** დამთავრდა ევროპის, ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში. **აქ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔᲓ ᲛᲘᲓᲓᲐᲕᲓᲐ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲚᲔᲚᲘ ᲗᲔᲗᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲐᲤᲮᲐᲖᲐᲕᲐ. ᲛᲐᲜ 82 ᲙᲘᲚᲝ�გᲠᲐᲛᲐᲛᲓᲔ ᲬᲝᲜᲘᲗ ᲙᲐᲢᲔ�გᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲢᲝᲚᲘ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲣᲪᲕᲘᲚᲘ ᲛᲔᲓᲐᲚᲘ ᲛᲘᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲓᲔᲚᲘ ᲛᲘᲝᲠᲘᲡ ᲞᲚᲐᲜᲘᲗ ᲛᲘᲝᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲐ — 5:4.** მეათე პარტია დღეს გაიმართება.

**ᲛᲝᲜᲐᲙᲝᲕᲘ** მიმდინარე მოჭიდრაკე ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის (უმაღლესი ლიგა) 14 ტურის შემდეგ გადადებული პარტიების დამთავრებისას კარპოვმა დაამარცხა ბელიავსკი, ტუკმაკოვმა — ვაჰანიანი, იუსუპოვმა — აგზამოვი, პოლუგაევსკიმ — ლერნერი. მეთხუთმეტე ტურში ბალაშოვმა მოუგო გელერს, დაზავდნენ აზმაიფარაშვილი და რომანიშინი. გადაიდო იუსუპოვ-პეტროსიანის, აგზამოვ-ლერნერის, პოლუგაევსკი-ვაჰანიანის, რაზუვაევ-ბელიავსკის და ტუმმაკოვ-მალანიუკის პარტიები. ამ დღეს თამაშობდან თავისუფალი იყვნენ კარპოვი და ფსახისი. ამ ეტაპზე შეჯიბრების ლიდერთა ჯგუფში იყვნენ კარპოვი — 8,5 ქულა (13 შესაძლებლიდან), პოლუგაევსკი — 7,5 ქულა და 1 გადადებული პარტია (13-დან), ტუმკაკოვი — 7,5 ქულა და 1 გადადებული პარტია (14-დან).

**ᲘᲐᲠᲝᲚᲐᲕᲚᲘ** დასასრულს მიუახლოვდა ჰაბუკ მოჭიდრაკეთა მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების შესარჩევი შეჯიბრება. მეთორმეტე ტურში თბილისელმა გია გიორგაძემ თავისი პარტია გადასდო და აზარ ლიდერთა ჯგუფში არიან სალოვი — 8 ქულა (1 გადადებული), გიორგაძე და ოლი — 6,5-6,5 ქულა (2-2 გადადებული), ეპიშინი — 6,5 (1), ზაგრებელნი — 6 (1.).

**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ** გრძელდება სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საკავშირო სპარტაკიადის ეროვნული ტურნირი. საქართველოს გუნდმა საგრძნობლად გაიუმჯობესა თავისი მდგომარეობა. მერვე ტურში ანგარიშით 2,5-1,5 მან სძლია ყაზახეთის გუნდს. ზაინიკმა მოუგო ბასენკოს, უბილავამ — ევსეევს. გუფელდი ყაიმზე შეუთანხმდა ლევინს, არახამიამ წააგო ირეანოვასთან. მეცხრე ტურში საქართველო-მოლდავეთის მატჩში გუფელდმა მოუგო კოსეცს, არახამიამ — ნევეფნინა�. ორი პარტია გადაიდო. ჯერჯერობით ანგარიშია 2:0 საქართველოს გუნდის სასარგებლოდ. შეჯიბრების დასასრულამდე ორი ტურია რჩება. ჯერჯერობით წინ არის მოსკოვის გუნდი, რომელსაც 20,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს. საქართველოს გუნდს — 18,5 ქულა და 2 გადადებული პარტია, სომხეთის გუნდს —18 ქულა და 4 გადადებული პარტია.

**ᲪᲮᲐᲙᲐᲕᲘᲡᲨᲘ** დამთავრდა მოჭიდრაკე ქალთა საქართველოს პირველობის ნახევარფინალური ტურნირი. აქ სამტრედიელმა ზ. ხვედელიძემ 14,5 ქულა დააგროვა და ყველას გაუსწრო. ქუთაისელმა მ. ცხვედიანმა და ცხაკაიელმა მ. ჩაჩიბაიამ 13,5-13,5 ქულით მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს.

# ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲓᲐᲤᲔᲑᲗᲐᲜ

**ᲔᲚᲘᲐᲜᲔᲗᲘᲡ** ქალაქ ალიკანტეში გაიმართა ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტების ნანა ალექსანდრიასა და ტატიანა ლემაჩკოს (შვეიცარია) მეოთხედფინალური მატჩის მეცხრე პარტია. ალექსანდრიამ ეს შეხვედრა წააგო. მიუხედავად ამისა წინ არის ალექსანდრია — 5:4. მეათე პარტია დღეს გაიმართება.

**ᲛᲝᲜᲐᲙᲝᲕᲘ** მიმდინარე მოჭიდრაკე ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის (უმაღლესი ლიგა) 14 ტურის შემდეგ გადადებული პარტიების დამთავრებისას კარპოვმა დაამარცხა ბელიავსკი, ტუკმაკოვმა — ვაჰანიანი, იუსუპოვმა — აგზამოვი, პოლუგაევსკიმ — ლერნერი. მეთხუთმეტე ტურში ბალაშოვმა მოუგო გელერს, დაზავდნენ აზმაიფარაშვილი და რომანიშინი. გადაიდო იუსუპოვ-პეტროსიანის, აგზამოვ-ლერნერის, პოლუგაევსკი-ვაჰანიანის, რაზუვაევ-ბელიავსკის და ტუმმაკოვ-მალანიუკის პარტიები. ამ დღეს თამაშობდან თავისუფალი იყვნენ კარპოვი და ფსახისი. ამ ეტაპზე შეჯიბრების ლიდერთა ჯგუფში იყვნენ კარპოვი — 8,5 ქულა (13 შესაძლებლიდან), პოლუგაევსკი — 7,5 ქულა და 1 გადადებული პარტია (13-დან), ტუკმაკოვი — 7,5 ქულა და 1 გადადებული პარტია (14-დან).

**ᲘᲐᲠᲝᲚᲐᲕᲚᲘ** დასასრულს მიუახლოვდა ჰაბუკ მოჭიდრაკეთა მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების შესარჩევი შეჯიბრება. მეთორმეტე ტურში თბილისელმა გია გიორგაძემ თავისი პარტია გადასდო და აზარ ლიდერთა ჯგუფში არიან სალოვი — 8 ქულა (1 გადადებული), გიორგაძე და ოლი — 6,5-6,5 ქულა (2-2 გადადებული), ეპიშინი — 6,5 (1), ზაგრებელნი — 6 (1.).

**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ** გრძელდება სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საკავშირო სპარტაკიადის ეროვნული ტურნირი. საქართველოს გუნდმა საგრძნობლად გაიუმჯობესა თავისი მდგომარეობა. მერვე ტურში ანგარიშით 2,5-1,5 მან სძლია ყაზახეთის გუნდს. ზაინიკმა მოუგო ბასენკოს, უბილავამ — ევსეევს. გუფელდი ყაიმზე შეუთანხმდა ლევინს, არახამიამ წააგო ირეანოვასთან. მეცხრე ტურში საქართველო-მოლდავეთის მატჩში გუფელდმა მოუგო კოსეცს, არახამიამ — ნევეფნინაიას. ორი პარტია გადაიდო. ჯერჯერობით ანგარიშია 2:0 საქართველოს გუნდის სასარგებლოდ. შეჯიბრების დასასრულამდე ორი ტურია რჩება. ჯერჯერობით წინ არის მოსკოვის გუნდი, რომელსაც 20,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს. საქართველოს გუნდს — 18,5 ქულა და 2 გადადებული პარტია, სომხეთის გუნდს —18 ქულა და 4 გადადებული პარტია.

**ᲪᲮᲐᲙᲐᲕᲘᲡᲨᲘ** დამთავრდა მოჭიდრაკე ქალთა საქართველოს პირველობის ნახევარფინალური ტურნირი. აქ სამტრედიელმა ზ. ხვედელიძემ 14,5 ქულა დააგროვა და ყველას გაუსწრო. ქუთაისელმა მ. ცხვედიანმა და ცხაკაიელმა მ. ჩაჩიბაიამ 13,5-13,5 ქულით მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს.

## Ზ. Ა. ᲥᲣᲠᲓᲘᲐᲜᲘ



გარდაიცვალა ქართული საბჭოთა არქიტექტურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი, 1946 წლიდან სკკპ წევრი ზაქარია (ზაქრო) ალექსანდრეს ძე **ᲥᲣᲠᲓᲘᲐᲜᲘ.**

ზაქრო ქურდიანი დაიბადა 1909 წელს. საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1931 წლიდან მუშაობდა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომში, ხოლო 1944 წლიდან, ათი წლის განმავლობაში, — ქალაქ თბილისის მთავარ არქიტექტორად.

ზ. ა. ქურდიანი იყო თბილისის პირველი გენერალური გეგმის ერთი ავტორთაგანი, რომელიც 1933-35 წლებში დამუშავდა და აღიარებული იყო საუკეთესო პროექტად იმ პერიოდში შექმნილ ქალაქების გენერალურ გეგმებს შორის. ეს პროექტი დაედო საფუძვლად ჩვენი დედაქალაქის გაზვითარებას 1934-54 წლებში. გარდა ამისა, იგი გახლდათ ამ პერიოდში განხორციელებული ბევრი მნიშვნელოვანი პროექტის ავტორი. მათ შორის აღსანიშნავია სტალინის სახელობის პარკი მთაწმინდის პლატოზე ფუნიკულორის ზედა სადგურის კომპლექსი, რომელიც მან თავის მეუღლესთან ნ. ქურდიანთან ერთად დაამუშავა. ქალაქის ემბლემად ქცეული ეს შენობა წარმოადგენს ქართული არქიტექტურის ერთ-ერთ შესანიშნავ ნიმუშს.

მან შეადგინა აგრეთვე რუსთავის გენერალური გეგმის პროექტის ოთხი ვარიანტი, ზ. ა. ქურდიანის პროექტებით განხორციელდა პარკების გაშენება დედაქალაქის ლენინის და 26 კომისრის რაიონებში, ლისის ტბაზე, მდინარე მტკვრის სანაპიროზე და სხვა.

1945-48 წლებში ზ. ქურდიანმა შეიმუშავა თბილისის ახალი გენერალური გეგმა 1950-70 წლებისათვის, რომელშიც წამოჭრილი იყო თბილისის მეტროპოლიტენის აშენების პრობლემა. ეს პრობლემა მან წამოაყენა ქ. თბილისის XIX პარტიულ კონფერენციაზეც, რომელიც შემდგომში მის მიერვე იყო შეთანხმებული სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის საქალაქო მშენებლობის სამინისტროსთან.

1954 წლიდან 16 წლის განმავლობაში ზ. ა. ქურდიანი განაგებდა საქალაქო მშენებლობის, დაგეგმარების და განაშენიანების გაყოფილებას სახმშენში, უცვლელად იყო მისი კოლეგიის წევრი, სახმშენისა და თბილისის არქიტექტურულ-დაგეგმარებითი მთავარი სამმართველოს არქიტექტურულ-ტექნიკური საბჭოს წევრი და ექსპერტი.

ზ. ქურდიანის ბევრი პროექტი პრემირებული იყო საკავშირო და რესპუბლიკურ კონკურსებზე.

1970 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ზ. ა. ქურდიანი მოღვაწეობდა სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ „საქქალაქმშენსახპროექტში“ მთავარ სპეციალისტად.

ზ. ა. ქურდიანის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მის მეგობრებსა და კოლეგებს შორის.

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲝᲠᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ, „ᲡᲐᲥᲥᲐᲚᲐᲥᲛᲨᲔᲜᲡᲐᲮᲐᲠᲝᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ“, „ᲡᲐᲥᲡᲝᲤᲚᲘᲡᲛᲨᲔᲜᲡᲐᲮᲐᲠᲝᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ“; „ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡᲙᲝᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ“.**

**ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ**
**Გ. ᲑᲔᲓᲘᲜᲘᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.**

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘ**

ᲒᲕᲔᲚᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ
380096, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-96.
ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. 14.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ:
ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ — 99-93-03, 99-03-09, ᲐᲒᲖᲘᲕᲜᲘᲡ — 99-72-80, ᲛᲐᲠᲙᲔᲢᲘᲜᲒᲘᲡ — 99-66-10, ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ: ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲠᲛᲠᲔᲑᲘᲡ — 99-87-61, ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲔᲜᲔᲯᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲗᲔᲝᲠᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡ — 99-22-93, ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲔᲑᲘᲡ — 99-52-46, ᲛᲠᲗᲕᲔᲚᲝᲒᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲠᲐᲜᲡ�პᲝᲠᲢᲘᲡ — 93-20-34, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ — 93-18-70, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ, ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ — 93-27-58, ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ — 99-55-01, ᲙᲠᲘᲖᲘᲡ-ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲐᲜᲢᲐ ᲥᲡᲔᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲠᲔᲓᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲬᲘᲚᲕᲘᲡ — 99-05-29, ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 93-16-90, ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 99-60-21, ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ — 99-73-24, ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲪᲘᲘᲡ — 93-28-54, ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲘᲡ — 93-95-24.

ᲡᲐᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ ᲞᲣᲜᲥᲢᲔᲑᲘ:
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ — 202-94-92; ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ — 2-40-19; ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ — 3-41-69; ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ — 2-22-52; ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ — 5-26-36; ᲒᲝᲠᲘᲡ — 2-33-10; ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ — 2-03-15; ᲤᲝᲗᲘᲡ — 5-58-69; ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ — 6-34-44; ᲖᲣᲚᲣᲤᲝᲜᲘᲡ — 39-55; ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ — 12-09; ᲧᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝ — 23-66; ᲑᲣᲚᲘᲒᲣᲚᲘ — 25-82.

# ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ

## ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ — ᲨᲔᲣᲜᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ

**ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ** მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმმა მორიგ სხდომაზე მოისმინა და განიხილა უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. დ. ხუდაიბერდიევის, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის მინისტრის ნ. ნ. ტარასოვისა და სსრ კავშირის კვების მრეწველობის მინისტრის ვ. პ. ლეანის მოხსენებანი მშრომელთა წერილების განხილვის საქმის ვითარების შესახებ.

მიღებულ გადაწყვეტილებაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭო, რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები, აგრეთვე სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტრო, ასრულებენ რა სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებებს წერილებზე მუშაობისა და მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციის შესახებ, ახორციელებენ ამ დიდმნიშვნელოვან უბანზე საქმის დაყენების გაუმჯობესების ღონისძიებებს. „ამ საკითხებს სისტემატურად იხილავენ სსრ კავშირის აღნიშნული სამინისტროების კოლეგიებისა და უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომებზე, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სესიებსა და მათი აღმასკომების სხდომებზე; ხორციელდება კონტროლი საქვეუწყებო საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში ამ მუშაობის მდგომარეობისადმი. მუდმივი ყურადღება ეთმობა წერილების ანალიზსა და განზოგადებას, გამოტანილ დასკვნებს პრაქტიკულ მუშაობაში იყენებენ.

უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოსა და ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებში წერილების უმრავლესობას იხილავენ მათი